Materials used by MM: Aluminum profiles with thermal insulation; Double-glass panes; ARCHTRADE metal construction; Metal construction with PTFE mesh; European furniture.





# სახლი ძალიან მხიარული და აქტიური ოჯახისთვის



ავტორი: სტუდია „იაკუშა დიზაინი“ არქიტექტორი და სტუდიის ხელმძღვანელი – ვიქტორია იაკუშა
ობიექტი: 2000 კვ.მ.; მდებარეობა: დნეპროპეტროვსკი, უკრაინა

ეს სახლი პირველ რიგში იმითაა უნიკალური, რომ მასში ცხოვრობს ძალიან მხიარული და აქტიური ოჯახი – სწორედ ეს ადამიანები იქცნენ ჩემი შთაგონების წყაროდ ამ ინტერიერზე მუშაობისას. აქტიური ცხოვრების სტილი და მომთხოვნი პოზიცია თავისთავად გულისხმობდა იმას, რომ ინტერიერის დიზაინი არასტანდარტულად უნდა გადამეწყვიდა; მუშაობის პროცესში ბევრ უჩვეულო იდეას მივაგენით. მაგალითად, დამკვეთმა მთხოვა მომეწყო თანამედროვე მინის ბუხარი. ასეთი ბუხრები გაყიდვაში არაა, და საბოლოო ჯამში გადავწყვიტეთ, ევროპაში სასურველი პროდუქტის ძებნით არ მოგვეკლა თავი და ინდივიდუალური შეკვეთა მივეცით უკრაინულ ქარხანას. ასევე ინდივიდუალური შეკვეთითაა დამზადებული სანათები. დენის ჩამრთველების დიზაინიც კი გადავახალისეთ და ჩვენით გავაკეთეთ, ვინაიდან, დარწმუნებული ვარ, ვერცერთი მწარმოებელი კომპანია ვერ შემოგვთავაზებდა მაინც და მაინც ჩვენთვის სასურველი ფერის ხის ჩარჩოიან ჩამრთველებს.









დიდ ქალაქებში მცხოვრებ, გიჟური ტემპებით დატანჯულ ადამიანებს მალე ბეზრდებათ ბეტონი და მინა, მათ ურჩევნიათ თავიანთ საცხოვრებელში ბუნებრივი ელემენტების დანახვა. სწორედ ასეთი იყო ჩემი ამოცანა: ვრცელი სახლი ბეტონის და მინის ექსტერიერით, შიგნიდან უნდა გამეფორმებინა ხით და სხვა ბუნებრივი მასალებით. ამიტომაცაა, რომ შემოსასვლელში არყის ხეები "დავრგეთ", სასტუმრო ოთახის კედლებზე კი საყვავილე ქოთნები ჩამოვკიდეთ. ბუნებრივი მასალები მაქსიმალურადაა გამოყენებული; მოსაპირკეთებელი მასალების ბუნებრივ წარმოშობა შეძლებისდაგვარად აქცენტირებულია. მაგალითად, კიბის, კედლებისა და სამზარეულოს ავეჯის მოსაპირკეთებელი ხის პანელები ისეა დამუშავებული, რომ მაქსიმალურად გაესვას ხაზი ხის ფაქტურას.

სივრცობრივ–მოცულობითი კომპოზიციის მიხედვით, სახლი რამდენიმე ზონად იყოფა; მათ შორის ყველაზე საინტერესო საბავშვო ზონაა. ოჯახში ოთხი ბავშვია და ყოველი მათგანისთვის ცალკე ორდონიანი ოთახია გამოყოფილი. ოთახებს აერთიანებს საცურაო აუზის თავზე განლაგებული გრძელი დერეფანი. ასეთმა გეგმარებამ საშუალება მოგვცა საბავშვო ზონის დერეფანი უნიკალურ სივრცედ გვექცია: იატაკი რამდენიმე ადგილას გაჭრილია, და ქვემოთ წყალი მოჩანს; ჭერს ბაგირი გასდევს და ბავშვებს შეუძლიათ 25–მეტრია-










ნი მანძილი წამებში გადალახონ; გარდა ამისა, დერეფანში დამონტაჟებულია თოკები, ღერძები, საქანელები და ერთი პატარა, მწვანე ბალახით დაფარული ბორცვი. ყოველივე ეს სიხარულით და დადებითი ემოციებით ავსებს სივრცეს. ბავშვებს უხარიათ თავისუფალი დროის აქ გატარება. მათთვის განკუთვნილი ოთახები სხვადასხვა სტილშია გადაწყვეტილი, თითოეული ბავშვის ასაკიდან და ხასიათიდან გამომდინარე. უმცროსი ქალიშვილის საძინებელში ნახავთ უზარმაზარ ხეს ჯადოსნური გამოქვაბულით და ფუმფულა საწოლით. უფროსი ქალიშვილის ოთახში თეთრი ტყავის საწოლი ანტრესოლზე ასასვლელი კიბის ფუნქციას ითავსებს, სადაც პატარა ტახტია მოთავსებული, აქვეა ოსტატურად დამონტაჟებული ტელევიზორი, რომლის ყურებაც გოგონას ძილის წინ შეუძლია, და მთელ ამ მსუბუქ თეთრ კონსტრუქციას ხაზს უსვამს ჟოლოსფერი კედელი.

სახლის მთავარი დომინანტია მზის სხივებით უხვად განათებული 6–მეტრიანი ხის კედელი გამოკვეთილი ბუნებრივი ფაქტურით, რომელსაც ამშვენებენ საყვავილე ქოთნები, ბალახი და უზარმაზარი მოკაშკაშე პეპელა.

სამზარეულოსა და საერთო ოთახის დიზაინში ასევე უამრავი ორიგინალური გადაწყვეტაა გამოყენებული. მაგალითად, სამზარეულოში დამონტაჟებული ჰაერის გამწოვი, რომელიც მინისგან, ლითონისა და თაბაშირ–მუყაოსგანაა დამზადებული, ორიგინალურად დამზადებული ბუხარი და ამწევი მექანიზმები.

მშობლების ნათელი და რომანტიული საძინებელიც, რა თქმა უნდა, მხოლოდ ბუნებრივი მასალითაა გაფორმებული. საწოლი და თაროები გათეთრებული ხისგანაა დამზადებული. ოთახის ძირითადი მიმართულება ჰორიზონტალურია, ამას კედლების ფაქტურა, ხალიჩის მოხატულობა და ბალიშები უსვამს ხაზს.

სახლში რამდენიმე ვრცელი დარბაზი და ერთმანეთთან შერწყმული ზონაა. ყოველი მათგანი თბილი, მაგრამ კონტრასტული ფერებითაა გაფორმებული. ღია ფერის ხის ელემენტების სილამაზეს ხაზს უსვამს კედლების მუქ– ყავისფერი ხავერდოვანი შეფერილობა. ფერითი კონტრასტების გარდა, ინტერიერის დიზანში ფაქტურების და მოცულობების კონტრასტებიცაა გამოყენებული. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პროპორციებს. სახლის ინტერიერი ისეა დაგეგმილი, რომ მისმა მაცხოვრებლებმა თავი კომფორტულად და თავისუფლად იგრძნონ.

# House of very up-and-doing family

Author: Yakusha dusign studio. Shief Architect - Victoria Yakusha
Location: Dnepropetrovsk, Ukraina. Area - 2000 m²

This house is unique because, first of all, a very up-and-doing family lives there that served inspiration for creating the interior. A challenging and active position of the customer necessitated out-of-the-box solutions in the interior design, and many interesting ones were found during the creation. I faced a lot of tasks, and tackling them generated many ideas. For example, a fireplace had to be modern and made of glass. But fireplaces of set dimensions are not produced. So, we decided to place a special order at a Ukrainian plant, not in Europe. Lamps were also custom-made, not bought on the market. We even had a creative approach to electric sockets not many producers had wood frames around sockets of a required color, so we made them ourselves.

People who live in big cities in the fast pace of life get tired of concrete and glass, and they want to add nature to their apartments. Thats exactly the case we have: a big house of concrete and glass outside, and wood and nature inside. All of these brought about an unambiguous decision to make the interior with natural elements. Thats how we put birches at the hall and flowerpots on a big wall in the common area. We used natural materials to the maximum extent and emphasized this wherever possible. For example, stairs, kitchen front, and wall lining is from wood treated in a special way to underline the wood pattern.

The volumetric and spatial composition divides the home into various zones, and the childrens area is one of the most interesting. Therere four kids in the family, and each has his (or her) dedicated two-level room. All rooms are united with a long corridor located above a swimming pool. This planning concept enabled us to make a childrens corridor a unique place: the floor has several openings, through which one can see the swimming pool water. A long rope swing is fixed to the ceiling and allows for cover a 25-meter distance for mere seconds. The long corridor is linked to a childrens area that has a lot of bars, swings, ropes and













a small hill covered with loan grass. All of these together with bright squares and green artificial grass is overwhelmed with joy and positive emotions. The kids are happy to pass free time at the childrens area. All the childrens rooms are designed in different styles in accordance with kid age and temper. The room for the youngest girl has a big tree with a magic cave and marvelous bed. And the eldest girl enjoys a white leather bed that also serves as stairs to the second level and a sofa; it has a TV rack that can be viewed lying in the bed. This airy white structure against the background of a bright raspberry gloss wall. The bed was also custom-designed.

The hearth of the home is a sky light area with a six-meter wall covered with wood panels, with a clearly expressed pattern, flower pots and grass. A big luminous butterfly plays a decorative and functional role, and the grass in flower pots closes us to nature.

The kitchen and living-room areas feature many unique solutions as well. E.g., the air extraction device above the kitchen furniture is made of glass, metal and drywall; the fireplace is designed applying a special technology, and lifting mechanisms in the kitchen.

A light and romantic bedroom for parents is also made of only natural materials.The bed and shelves are from bleached-out specially dyed wood. A horizontal nature of the room is emphasized with a wall covering texture and carpet and pillow pattern.

The home has many spacious halls and areas verging into each other. All of them are designed in warm, but contrasting color pattern. All wood elements are in light ochre wood against dark brown walls with velvety cover. Not only a change of color, but also various textures and volumes were used. Great attention was paid to proportions. Everything is planned in the way that the housemates can feel comfort and freedom.

# საცხოვრებელი სახლი

პროექტის მისამართი: 2203 აშოკ თაუერსი, დრ. ამბედკარ როუდი, პარელი, მუმბაი, ინდოეთი
კატეგორია: საცხოვრებელი სახლის ინტერიერი
დამკვეთი: ბ-ნი სანჯაი შახი
ინტერიერის ჯამური ფართობი: 1340 კვ. ფუტი





ავტორი: არქიტექტორი მანიშ დიკშიტი, Aum Architects

პროექტის აღწერა: არქიტექტორ მანიშ დიკშიტის დიზაინით მოწყობილი ეს საცხოვრებელი სახლი 4-კაციანი ოჯახისთვის მუმბაის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს.

დამკვეთს უნდოდა, 1300 კვ. ფუტის ფართობის მქონე სივრცე ვრცელ თანამედროვე საცხოვრებელ სახლად ექცია. ინტერიერი გაყოფილია რამდენიმე ზონად - შემოსასვლელი, მისაღები/სასადილო ოთახი, მშობლების საძინებელი, ვაჟიშვილის და ქალიშვილის საძინებლები, სამზარეულო, სამეურნეო ზონა. სახლის დეკორი კურორტის კომფორტულ გარემოს მოგვაგონებს. „ჩემი დამკვეთი წარმოშობით ბომბეიდანაა, მისი სურვილი იყო ეცხოვრა კომფორტულ გარემოში, რომელიც არ დაემსგავსებოდა სტანდარტულ ქალაქურ ბინას,“ განმარტა არქიტექტორმა მანიშნ დიკშიტმა. ამასთანავე, დამკვეთს უნდოდა, რომ სახლის ყველა ოთახს განსხვავებული დეკორი ჰქონოდა.

არქიტექტორმა დაიწყო მუშაობა ნახევრად ღია შემოსასვლელი ზონის მოწყობით, რომელმაც ხაზი გაუსვა მისაღები ოთახის სიმშვიდეს. უზარმაზარი მისაღები/სასადილო ოთახი, რომელიც გადაჰყურებს ქალაქის სახურავებს, დამკვეთის მოთხოვნით საკმაოდ პომპეზუ-















რად გაფორმდა. შესასვლელს და მისაღებ ოთახს ერთმანეთისგან მსუბუქად ჰყოფს ჭერზე დამაგრებული ხის შირმა. თანამედროვე ფუნქციური მოთხოვნების მიხედვით აღჭურვილი სამზარეულო მისაღები/სასადილო ოთახისგან გამოყოფილია ნახევრად გამჭვირვალე მინის ტიხრით. ამგვარად, სამივე ოთახი ვიზუალურად დაკავშირებულია ერთმანეთთან ისე, რომ მათი ინდივიდუალობა არ ირღვევა.

ვაჟიშვილის საძინებლის დიზაინი ე.წ. დაუსრულებელი სოფლის სახლის თემითაა გაჟღენთილი: დაბალი ხის საწოლი, ჰორიზონტალური ხის კოჭები (louvers) ჭერზე. ოთახს იატაკი ხისაა, კედლები გამოკვეთილი ფაქტურის მქონე შავი პანელებითაა მოპორკეთებული. თემას დასრულებულ ჟღერადობას ანიჭებს შავ-თეთრი ფოტოების კოლექცია.

მშობლების საძინებელი მინიმალისტურ სტილშია გაფორმებული. ოთახის მთავარი დომინანტია ძვირფასი ხისგან (teak wood) დამზადებული პრიალა თეთრი საწოლი (white lacquered finish). თეთრ კედლებს ამშვენებს ქსოვილით მოფარდაგებული პანელები, რომლებიც საწოლთან ერთგვარ კონტრასტს ქმნიან. ოთახის სხვადასხვა წერტილებში დამონტაჟებული დიდი სარკეები ხაზს უსვამს დიზაინის სხვადასხვა ელემენტების სილამაზეს. „თანამედროვე ელეგანტური სტილის დასაცავად, იატაკი ავსტრალიური მარმარილოთი მოვაპირკეთე, საწოლის სასთუმალი კი ინდივიდუალური დაკვეთით დავამზადებინე ქსოვილისგან,“ - აგვიხსნა არქიტექტორმა. ვრცელი საძინებლის ფრანგული ფანჯრებიდან ბომბეის ულამაზესი ხედები იშლება. მარმარილოს იატაკი დიდ სააბაზანო ოთახში და საგარდერობოშიც გრძელდება.

ქალიშვილის ოთახის ძირითადი ფერია თოვლივით ქათქათა თეთრი, რომელსაც აქაიქ აცოცხლებს ხასხასა ტექსტილის დეტალები. მდიდრულ ჩარჩოში ჩასმული სარკე და ნიშაში მოწყობილი მყუდრო დასასვენებელი კუთხე დანარჩენი სივრცის სითეთრესთან ჰარმონიაშია. სამაგიეროდ, სააბაზანო ოთახი, თავისი მუქი მოპირკეთებით, გარკვეულწილად აწონასწორებს ოთახის ნაზ დიზაინს.

ინოვაციური და თანამედროვე დიზაინერული გადაწყვეტების წყალობით, არქიტექტორმა შექმნა მრავალფეროვანი სივრცე, რომელშიც მისი გამკვეთი სიამოვნებით დაისვენებს და აღიდგენს ძალებს.

# Residential House

Author: Architect Manish Dikshit, Aum Architects
Project address: 2203 Ashok Towers, Dr Ambedkar Road, Parel, Mumbai 400 039. INDIA
Category: Residential House Interior
Name of Client/Customer: Mr Sanjay Shah
Area: 1340 sq.ft interior space









About the project: Designed by Ar. Manish Dikshit from Aum Architects, this residential home is designed for a family of 4 in the central part of Mumbai city.

The requirement was for a spacious home with a dash of contemporary elements for this 1300 sq. ft. space. The house is divided into various areas like the lobby, living cum dining, Master bedroom, Son's bedroom, Daughter's bedroom, Kitchen and utility space. The decor of the house reflects the comfort of a resort. "Since the client born in Bombay, he needed to stay in a comfortable setting that doesn't make him feel like every other house in the city," says Ar. Manish Dikshit. The client wanted every space to have a theme and decor different from the other.

Being a space crunched house in Bombay, a semi open lobby was created to manage the privacy of the living space. The huge living cum dining room that overlooks the city skyline was also given more importance from the entrance lobby which was insisted by the client Mr Sanjay Shah. A subtle division in the form of a suspended wooden frame hanging from the ceil-





ing separates the lobby and the living area. The large kitchen fitted with all the functional requirements is partly visible through a frosted glass partition and door that connects the dining to the kitchen. This allows the three rooms to have a visible connection yet keeping them separate.

The Son's Bedroom follows a "Rustic unfinished theme" with a low wooden bed and horizontal wooden louvers. As wooden flooring adorns the room, a black textured wall panel with b&w photographs does complete justice to the theme.

A minimalist approach to design was taken for the Master bedroom, with a slick bed made of teak wood in a white lacquered finish. The walls are done in white along with fabric panelling that contrasts well with the bed. The mirror panels in various areas expresses the elements of the room. Making way to the master bedroom, "Maintaining the contemporary elegance, I have used Australian marble for flooring while a customized fabric head board adds spark," explains the architect. The spacious bedroom has french windows that take you to the remarkable views of the Bombay skyline. The Italian marble flooring continues into the large bathroom and the wardrobe.

The Daughter bedroom with the snow white concept with a dash of colours with fabric brings in the spark to the room. The vanity styled mirror and the relaxing seating in the niche adds to the character with the whiteness of the entire space. The bathroom is in contrast made with dark colours finishes to attract an appeal after the subtle feel of the room with innovative designs and contemporary interiors, the architect has tried to give different identity to each of the area, allowing the client to relax and feel "homely".









# ერთგულების 15 წელი

„მაგთივინი“ ქართულ ბაზარზე 1996 წელს გამოჩნდა და ის იყო პირველი კომპანია რომელმაც საქართველოში მეტალოპლასტიკის კარ ფანჯრები შემოიტანა დროთა განმავლობაში „მაგთივინი“ გაფართოვდა და ფანჯრების გარდა სხვადასხვა პროდუქცია შესთავაზა მომხმარებელს. დღეს „მაგთივინში“ შეგიძლია შეუკვეთო და შეიძინო საოჯახო და საოფისე ავეჯი, სურათის და სარკის ჩარჩოები მეტალოპლასტმასის, ალუმინის, ხე-ალუმინის კარ-ფანჯრები, მინა ალუმინის ფასადები, შიდა კარები, მზისგან დამცავი სისტემები.



„მაგთივინი“ მომხმარებელს სთავაზობს მაღალი ხარისხის საქონელსა და მომსახურებას. გამოცდილი მაღალკვალიფიციური დიზაინერების დახმარებით მომხმარებელი იღებს სპეციალურად მათი ბინების და ოფისებისთვის მორგებულ პროდუქციას. დაზიანების შემთხვევაში კი, ერთი წლის განმავლობაში კომპანია მათ მიერ წარმოებული ნებისმიერი პროდუქტის შეკეთებას უზრუნველყოფს.

„მაგთივინის“ პროდუქტი მოდურია, პრესტიჟულია და ის წარმატებული ადამიანებისთ-







ვის არის შექმნილი. "მაგთივინი" თანამშრომლობს წამყვან გერმანულ ბრიტანულ იტალიურ და ავსტრიულ ფირმებთან მათ მიერ მოწოდებული ნედლეული მოწმდება ევროპის ხარისხის კვლევის ინსტიტუტის მიერ.

**ნინი გოგუაძე მარკეტინგის მენეჯერი:** *„ჩვენ ვუშვებთ და ვყიდით არამხოლოდ ავეჯს, კარებს და უბრალოდ ნივთებს რომელიც "მაგთივინში" მზადდება. ჩვენ ვყიდით მომსახურებას, ხარისხს. ჩვენი მომხმარებელი წარმატებული და გემოვნებიანი ადამიანია და ჩვენ მათ ბინების და ოფისების კომპლექსურად მოწყობაში ვეხმარებით, რაშიც ხელს გვიწყობს* 16 *წლიანი გამოცდილება და მომხმარებლის ნდობა.“*

"მაგთივინში" დამზადებული ავეჯი არა მხოლოდ კომფორტული და ხარისხიანია არამედ ის პრესტიჟულია. კომპანია მთლიანად მომხმარებელზეა ორიენტირებული და ავეჯიც ექსკლუზიურად მათთვის იქმნება.











# Teuco იტალიური წარმოშობის ბრენდი



Teuco-ს პროდუქციის ექსკლუზიური წარმომდგენი საქართველოში „გალერეა დემასია“, რომელთანაც კომპანია Teuco -ს უკვე დიდი ხნის პარტნიორული ურთიერთობები აკავშირებს.

„გალერეა დემასის“ შოურუმში მომხმარებელს შესაძლებლობა ეძლევა დაათვალიეროს და შეიძინოს Teuco -ს პროდუქცია.

„ტეუკო“-ს ძლიერი მხარე და მთავარი განმასხვავებელი ნიშანი, მის მიერ დაპატენტებული ჰიდრომასაჟის, ახალი მიმართულებაა, რომელიც არც ერთ სხვა კომპანიას არ გააჩნია. „ტეუკო“-ს „ულტრაბგერითი ჰიდრომასაჟი“, მხოლოდ კანის ზედაპირზე ზემოქმედ, ჰიდრომასაჟის სხვა სისტემებისგან განსხვავებით, უჯრედულ დონეზე ახდენს ზემოქმედებას და შესაბამისად, გაცილებით მაღალეფექტური მასაჟის ჩატარებით მეტად სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის.

„ტეუკო“-ს მიერ დაპატენტებული მეორე მასალა, რაც მას სხვა მწარმოებლებისგან განასხვავებს და უპირატესობას ანიჭებს – Duralight-ია. ძირითადად სააბაზანო პროდუქცია აკრილით მზადდება, რომელსაც „ტეუკო“-ს შემუშავებული Duralight ხარისხით ბევრად აღემატება, ის არ იწვის, არ იკაწრება და საერთოდ არ ზიანდება.



„ტეუკო“-ს კიდევ ერთი უპირატესობა და განმსახვავებელი ნიშანია, ის რომ იგი ქმნის ჰიდროჯეტების უჩინარ მოწყობილობებს, რომლის ხარჯზეც დიზაინი კიდევ უფრო ლამაზდება.

„ტეუკო“ არის ბრენდი, რომელიც იძლევა საშუალებას ყველანაირი პროდუქცია (აბაზანა, უნიტაზი თუ სხვა) ერთი მოდელის იყოს. ასეთი კოლექციებია, მაგალითად: Kinea, Wilmotte და ა.შ. „ტეუკო“-ს აქვს ზომების დიდი არჩევანი. გარდა ამისა, „ტეუკო“, მყიდველის სურვილის შესაბამისად, - ჩვეულებრივი აბაზანის ნებისმიერად (მსუბუქად, საშუალო დონეზე ან მაქსიმალურად) დატვირთვის საშუალებას იძლევა.

კომპანიის ისტორია 1972 წლიდან იწყება - დაუღალავი შრომა, შემოქმედებითობა, ახალი იდეების გენერაციის უნარი, სათუთი მიდგომა დიზაინის, ერგონომიული თვისებებისა და მასალების შერჩევისადმი – ასეთია „ტეუკო“-ს საქმიანობისა და შემოქმედების უმთავრესი პრინციპები. „ტეუკო“ არის ბრენდი, რომელსაც ყოველთვის შესწევდა უნარი, წინასწარ განესაზღვრა მოდური ტრენდები და ტექნოლოგიები; „ტეუკო“-ს: საქმიანობას გამოარჩევს ორი ძირითადი ფაქტორი – ინოვაციური მიდგომა და მსოფლიო აღიარება. „ტეუკოს“ მრავალრიცხოვანი პატენტები, ფაქტიურად, ქმნის ჰოდრომასაჟის აბაზანების ისტორიას და მოკლე დროში ეს ბრენდი მსოფლიო ლიდერის პოზიციას აღწევს.

***ნოუ–ჰაუ***

**ცვალებადი მასალა, მოზღვავებული იდეები**

არაფერი იცვლის იერს წყალზე მეტად, არაფერია უფრო განუსაზღვრელი, ვიდრე სურვილი. „ტეუკომ“ იცის, თუ რამდენად ცვალებადია იმ ადამიანების საჭიროებები, ვისაც უყვარს საკუთარი თავის განებივრება, სათუთი მოვლა და წყლის მეშვეობით ძა-





ლების აღდგენა. სწორედ ამიტომ ვისწავლეთ ჩვენ ტექნოლოგიების და ფორმების მომართვა ისე, რომ ყოველი სააბაზანო ოთახი ვაქციოთ უნიკალურ პირად სივრცედ. კვლევების ეფექტურად განხორციელების უნარმა საშუალება მისცა „ტეუკოს“ შეექმნა ისეთი საოცარი თვისებების მქონე მასალა, როგორიცაა Duralight®, ისეთი მრავლისმომცველი სისტემა, როგორც „Unlimited“, სამი დაპატენტებული სააბაზანო სისტემა - Hydroline, Hydrosilence® და Hydrosonic®, და პირველი ინდივიდუალური თურქული აბანო. ამდენად, „ტეუკო“ არათუ სილამაზეს და დახვეწილ დიზაინს მისდევს, არამედ ძირითად სამოქმედო პრინციპებად ისახავს მოქნილობას, ინოვაციურ მიდგომას და უსაფრთხოებას, რათა დააკაყოფილოს ის ადამიანები, ვინც წყლისგან მაქსიმალურ სიამოვნებას იღებს.

***პროდუქცია***

**აბაზანები -** „ტეუკოს“ თითოეულ აბაზანას გამოარჩევს მშვენიერი დიზაინი და ხაზგასმული სწრაფვა კომფორტისკენ – შემოქმედებითობის და ეფექტურობის შერწყმა. როგორც აკრილის, ასევე დურალაითის აბაზანები, რომლებიც შეგიძლიათ შეიძინოთ ჰიდრომასაჟის დანადგარებით ან მათ გარეშე, გამოირჩევა მეტად მოქნილი დიზაინით და ინდივიდუალობას მატებს ნებისმიერ ინტერიერს. შეარჩიეთ ის აბაზანა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს საჭიროებებს.

**შხაპები -** „ტეუკოს“ შხაპები სიამოვნების და შვების მომნიჭებელია. კომფორტული, ფუნქციონალური და დახვეწილი დიზაინის მქონე ეს პროდუქცია გამოირჩევა მეტად რთული ტექნოლოგიით, რომელიც ასევე იყენებს ორთქლს – რეკრეაციის უძველეს ბუნებრივ საშუალებას. თქვენ გეძლევათ საშუალება შექმნათ თქვენი სააბაზანო ოთახის ზომის შესაფერისი შესანიშნავი საშხაპე კაბინა და თქვენი გემოვნებისდა მიხედვით მიუსადაგოთ ქვესადგამი, სამართავი პანელი და კარები.

**შხაპის ქვესადგამები -** აკრილისა და Duralight®-ისგან დამზადებული „ტეუკოს“ შხაპის ქვესადგამები ადვილად ერწყმის ნებისმიერ სააბაზანო ოთახს. მითუმეტეს, რომ კომპანია არ აწესებს შეზღუდვებს შხაპის ქვესადგამების დიზაინზე და თქვენ შეგიძლიათ შეუკვეთოთ თქვენთვის სასურველი ნებისმიერი ფორმის მქონე ქვესადგამი, რაც არ მიაყენებს ზიანს ტექნოლოგიურ ასპექტს.

**ხელსაბანები და სან.მოწყობილობები -** „ტეუკოს“ დიზაინის დახვეწილი ხაზები და გეომეტრია მეორდება ხელსაბანების და სან.მოწყობილობების ჰარმონიულ ფორმებშიც. Duralight®-ისგან, კერამიკისა თუ მარმარილოსგან დამზადებული ეს ნივთები შეეფერება ნებისმიერი ტიპის გარემოს თუ სივრცეს.

**კომბინირებული პროდუქცია -** „ტეუკოს“ კომბინირებული პროდუქტები უშურველად აკმაყოფილებს ბავშვების, ზრდასრული და ხანდაზმული ადამიანების საჭიროებებს. ეს სიამოვნება ყველასთვისაა ხელმისაწვდომი - კომბინირებული აბაზანები და საშხაპეები, თავისი გამორჩეული ერგონომიული თვისებების წყალობით, - მოხმარებაში მარტივი, უსაფრთხო და კომფორტულია. როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, „ტეუკო“ სათანადო ყურადღებას უთმობს ამ ნივთების სტილისტურ გადაწყვეტასაც.

**ორთქლის აბანო -** „ტეუკოს“ მაღალტექნოლოგიური ნოუ-ჰაუ საშუალებას გაძლევთ ნამდვილი ორთქლის აბანო მოიწყოთ სახლში. „ტეუკოს“ ორთქლის აბანოს სისტემები გამოირჩევა გამომუშავებული ორთქლის დიდი რაოდენობითა და სტაბილური ტემპერატურის შენარჩუნების უნარით, რაც აბაზანაში ყოველ შესვლას დაუვიწყარ შთაბეჭდილებად გიქცევთ.

**შხაპის სამართავი პანელები და ონკანები -** „ტეუკოს“ შხაპის სამართავი პანელები და ონკანები ხაზს უსვამს ნებისმიერი აბაზანის დახვეწილ სტილს და ელეგანტურობას. ამ პროდუქტების შესანიშნავი ხარისხი ერწყმის ფუნქციონალურ და თანამედროვე დიზაინს, რომელიც თითქოს დამატებით თვისებებს მატებს წყალს. შეარჩიეთ ისეთი სამართავი პანელი და ონკანები, რომლებიც ყველაზე მეტად შეეფერება თქვენს საჭიროებებს.

**ჰიდროსპა-აბაზანები -** როდესაც სახლში „ტეუკოს“ ჰიდროსპა-აბაზანა გაქვთ, შეგიძლიათ ყველა პრობლემა დაივიწყოთ. ჰიდროსპა-აბაზანა არის საკუთარ სილამაზეზე და კეთილდღეობაზე ზრუნვის უმაღლესი გამოხატულება, თქვენი პერსონალური საგზური სამოთხეში, რომელიც შეგიძლიათ გაუზიაროთ საყვარელ ადამიანებს. „ტეუკოს“ ყველა ჰიდროსპა-აბაზანაში, კომფორტი იწყება დასაჯდომიდან, რომელიც მეტად ერგონომიული და მოსახერხებელია. მრავალრიცხოვანი ჭავლები განთავსებულია სტრატეგიულ წერტილებში და სხეულის ამა თუ იმ კონკრეტული ნაწილის მასაჟს ახდენს.





***კოლექციები***

„ტეუკო“ წარუდგენს მომხმარებლებს პროდუქციის ახალ, ყოვლისმომცველ ასორტიმენტს, რომელიც აბაზანის სრულად მოწყობის საშუალებას იძლევა - ერთი და იგივე ხელით შექმნილი, ერთმანეთთან მისადაგებული სხვადასხვა ნივთების კოლექციები, მრავალფეროვანი დიზაინერული გადაწყვეტების წყალობით, ნებისმიერ გარემოს ორგანულად ერწყმის.

დიზაინი თამაშობს უმნიშვნელოვანეს როლს და ქმნის გამოკვეთილ სახეს, რომელიც უბრალო ფუნქციონალურობის ფარგლებს სცილდება. სწორედ ამ თვისებებით გამოირჩევა „ტეუკოს“ კოლექციები: კარლო კოლომბოს „Outline“, ჯოვანა ტალოჩის „Paper“, ანჯელეტი-რუზას „Nauha“, მ. იოსა ჯინის „Kinea“, ჟ.მ.ვილმოტის „Wilmotte“. ეს დახვეწილი ნივთები მთლიანად იტალიაშია დამზადებული საუკეთსო მასალების გამოყენებით.



ᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲐ - **Outline**



ᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲐ - **Outline**

***Outline***

სინათლის და დინამიკის წონასწორობას, რომელიც გამოარჩევს კარლო კოლომბოს კოლექციას, სრულიად ახალი ჟღერადობა შემოაქვს სააბაზანო ოთახის სტილისტიკაში ინოვაციური დიზაინის წყალობით. ნივთების ასიმეტრიული კიდეები ხაზს უსვამს მასალის ბუნებრიობას, მოყვანილობა კი მოძრაობის შთაბეჭდილებას ტოვებს და წყლის დინებას გვაგონებს.

***Paper***

მათ, ვისაც მოსწონს მკაფიო, მკაცრი მოყვანილობები, განსაკუთრებით მოეწონებათ ჯოვანა ტალოჩის მიერ შექმნილი კოლექცია Paper. კოლექციის თითოეული ნივთი მთლიანად დამზადებულია Duralight®-ისგან, „ტეუკოს“ მიერ შექმნილი მეტად დრეკადი მასალისგან, და სარგებლობს ე.წ. „შეუზღუდავი“ მომსახურეობით, რომლის წყალობითაც, თქვენ შეგიძლიათ დაამზადებინოთ ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული ნივთები.



ᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲐ - **PAPER**



ᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲐ - **Nauha**



ᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲐ - **Nauha**



ᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲐ - **Nauha**

***Nauha***

სიტყვა „Nauha“, რომელიც ფინურ ენაზე ლენტს ნიშნავს, გამოხატავს ფორმების წონასწორობას და კომფორტს. ანჯელეტი-რუზას მიერ შექმნილი ეს კოლექცია გამოირჩევა თავისი რომანტიული მომხიბვლელობით, რომელიც ყველა ნივთში მეორდება. ბუნებრივი ჰარმონიით შთაგონებული მოქნილი, ხავერდოვანი მოძრაობაა ამ კოლექციის ძირითადი მოტივი.
















### Wilmotte

ეს კოლექცია, რომელიც დიზაინერის ჟ.მ. ვილმოტის სახელს ატარებს, გთავაზობთ უსასრულო ვარიაციებს და შესაძლებლობებს - უმარტივესიდან ზე-რთულამდე. ამ კოლექციის ყოველ ნივთს გამოარჩევს ელეგანტური ქრომირებული სიბრტყეები.







### Kinea

Kinea გვხიბლავს ბუნებით შთაგონებული ეფემერული მოყვანილობებით და სილუეტებით. იოსა ჯინის მიერ შექმნილ ამ კოლექციას თითქოს წყალმა მისცა ფორმა - ყოველ ნივთს გამოარჩევს რბილი, ჰარმონიული, მოულოდნელად ვნებიანი სტილი. და ა.შ.

### „ტეუკო“ თქვენნაირია

ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ თითოეულ დღეს უამრავი შთაბეჭდილება მოაქვს, ყოველდღიურ ცხოვრებაში კარგიც ხდება და ცუდიც. სხვაგან თუ არა, თქვენს საკუთარ სახლში მაინც გვინდა მოგცეთ საშუალება იფიქროთ მხოლოდ საკუთარ თავზე - კვლავ და კვლავ ისიამოვნოთ საყვარელი ფორმებით და ფერებით და ყოველდღე ხელახლა აღმოაჩინოთ სიამოვნება, რომლის მიღებაც მხოლოდ სასურველ გარემოშია შესაძლებელი.

საქართველოში ტეუკოს დახვეწილი და რაფინირებული გემოვნების მქონე მომხმარებელი ჰყავს. ეწვიეთ „გალერეა დემასს“. ჩვენი ერთიანი ძალისხმევით და რა თქმა უნდა თქვენი ხელშეწყობით, შეგიქმნით გარემოს, სადაც ყველა პრობლემას დაივიწყებთ და კვლავ აღმოაჩენთ საკუთარ თავს.



# სტუდია DESIGNBUREAU უძრავი ქონების პრესტიჟული ევროპული კონკურსის გამარჯვებულია

ნია მგალობლიშვილი
სოფიო შევარდნაძე
ია ლიპარტელიანი

NIA MGALOBLISHVILI
SOPHIE SHEVARDNADZE
IA LIPARTELIANI



2012 წლის 24 სექტემბერს, ლონდონში, მაღალი დონის გალა პრეზენტაციაზე ქართულ სტუდიას DESIGNBUREAU 2012 წლის უძრავი ქონების ევროპული ჯილდო გადაეცა.

უძრავი ქონების ევროპული ჯილდო ცნობილი საერთაშორისო უძრავი ქონების ჯილდოების ნაწილია. კონკურსში გამარჯვებული ორგანიზაციის ლოგო სანიმუშო და წარმატებული მუშაობის გარანტია გლობალურ ინდუსტრიაში. ამ ძალზედ სასურველი ჯილდოს მიღება კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ DESIGNBUREAU-ს ევროპული უძრავი ქონების კონკურენტულ ბაზარზე ძლიერი პრეტენდენტების დამარცხება შეუძლია.

ქართული სტუდია DESIGNBUREAU (www.designbureau.ge) სამ ახალგაზრდა ქალბატონს აერთიანებს, რომელნიც კრეატიულობითა და ორიგინალურობით ცდილობენ თანამედროვე ტენდენციების დანერგვას თბილისში. ნია მგალობლიშვილი, ია ლიპარტელიანი და სოფიო შევარდნაძე კერძო პირებისა და კომერციული ორგანიზაციების პროექტებს საქართველოს მასშტაბით 2004 წლიდან ახორციელებენ. შესრულებულმა პროექტებმა ერთის მხრივ გააძლიერა გუნდის წევრების ცოდნა და უნარები, ხოლო მეორეს მხრივ დიზაინერული შესაძლებლობების სიღრმეების ძიების საშუალება მისცა.



**დაჯილდოვების ცერემონია**

ევროპის უძრავი ქონების პროფესიონალთაგან შერჩეული გუნდი ჯილდოს მოლოდინში იყო საკუთარი მიღწევებისათვის. 2012 წლის უძრავი ქონების ევროპული ჯილდოს ნომინანტები ახლახანს შეფასდნენ და DESIGNBUREAU გამარჯვებულ კომპანიათა შორის იქნა დასახელებული.

წარმატებული კანდიდატები მაღალი დონის გალა პრეზენტაციაზე იყვნენ მიწვეულნი, რომელიც 24 სექტემბერს გროსვენორის მოედანზე სასტუმრო მერიოტში (ლონდონი) გაიმართა. ოფიციალური განცხადებებიც სწორედ იქ გაკეთდა. აღნიშნული ღონისძიება უძრავი ქონების სამიტის გაგრძელებაა, რომელიც დღის მანძილზე პრეზიდენტების, აღმასრულებელი დირექტორების, მმართველი დირექტორების, თავმჯდომარეებისა და სხვა გადაწყვეტილების მიმღებ პირთა მონაწილეობით გაიმართა. აღნიშნული ღონისძიება იდეალურ შესაძლებლობას იძლევა კონტაქტების გასაღრმავებლად და ახალი საქმიანობის წამოსაწყებად; იგი ღიაა როგორც დაჯილოდოვების ცერემონიის მონაწილეებისათვის, ისე ინდუსტრიაში ჩართული ყველა კომპანიისა თუ მიმწოდებლისათვის.

მიმდინარე წლის მანძილზე, უძრავი ქონების ევროპულ კონკურსში გამარჯვებულნი აზია-წყნარი ოკეანიის, აფრიკის, ამერიკისა და არაბეთის სხვა გამარჯვებულ კომპანიებს გაუწევენ მეტოქეობას. თითოეულ კატეგორიაში მსოფლიოს გამარჯვებული გამოვლინდა.

უძრავი ქონების საერთაშორისო ჯილდოს პრეზიდენტი სტიუარტ შილდი აღნიშნავს: „წელს განაცხადი ევროპის 29 ქვეყნიდან მივიღეთ და სტანდარტები უაღრესად მაღალი გახლდათ. ამ ჯილდოთა მისაღებად ყველა კომპანიამ პროფესიონალიზმისა და შეაბამის სფეროში კომპეტენტურობის უმაღლესი დონე აჩვენა“.

უძრავი ქონების პრესტიჟულ ევროპულ კონკურსზე წარდგენილი საცხოვრებელი ინტერიერი - თბილისი. უშანგი ჩხეიძის ქუჩა.





# DESIGNBUREAU Studio Wins a Prestigious European Property Award

On September 24 2012, at a luxurious gala-presentation organized in London by International Property Awards, Georgian studio DESIGNBUREAU received the Europe 2012 Best Interior Design prize.

International Property Awards is a well-known international real property competition. The title of International Property Award winner is a guarantee of international quality and success, and the fact that DESIGNBUREAU received this prestigious award means that this studio can successfully compete at the European property market.

Georgian studio DESIGNBUREAU (www. designbureau.ge) unites three young ladies, who apply their creativity and originality to disseminate modern tendencies in Tbilisi. Nia Mgaloblishvili, Ia Liparteliani and Sophie Shevardnadze implement private and corporate projects in Georgia since 2004 - this experience reinforced the team's knowledge and skills, and allowed them to deeply explore their design capabilities.













**Award Ceremony**

Winners of Europe 2012 International Property Awards were announced at a gala-presentation, which took place in London Marriott Hotel Grosvenor Square on September 24, 2012. Europe 2012 Award Ceremony was a sequel of International Property Summit, attended by chairmen, CEOs, managing directors, presidents and other decision-making officials of real property agencies and suppliers from all over the world. This event, open to Award Ceremony participants as well as companies and suppliers engaged in real property sphere, provides a perfect opportunity for creation of new business links and exchanging ideas.

Europe 2012 winners, together with finalists of Asia-Pacific, Africa, Americas and Arabia competitions, are going to participate in the summarizing round of International Property Awards, which will identify this year's world winners in each nomination.

International Property Awards President Stewart Shield commented: "This year we received applications from 29 European countries, and the competition standards were very high. Every participating company showed the best of their professionalism and competency."







# POMO DORIS SIMO



თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე, იტალიური ბრენდის "Pomodorissimo"-ს ახალი კაფე-რესტორანი გაიხსნა. პროექტის ავტორი არქიტექტორი ნათია კარიაული გახლავთ.

ინტერიერის დახვეწილი აკომოდაცია სასურველ გარემოს ქმნის, მოქალაქეებისთვის. საზოგადოებრივ სივრცეში წარმოქმნილ მოულოდნელ არქიტექტურულ და დიზაინერულ შტრიხებს, მასში სიმსუბუქე შეაქვს და მოსახერხებელ გეგმარებას განაპირობებს. სტილისტურ მთლიანობაში შიდა სივრცის თითოეული მონაკვეთის ინდივიდუალურობა, ფუნქციურობა თავისებურად იკვეთება. რესტორნის პირველ სართულზე პიცერიაა განთავსებული. აქ, იტალიური სამზარეულოს მოყვარულებს შეუძლიათ დააგემოვნონ უგემრიელესი ნეაპოლიტანური კერძები და შეუდარებელი იტალიური პიცა, რომელსაც მათ თვალწინ იტალიელი მზარეული დაამზადებს. მეორე სართული რესტორანს აქვს დათმობილი, ორი VIP კაბინით, განაკუთრებული კომფორტის მოყვარული სტუმრებისთვის. კონსტრუქციული თუ დეკორატიული დეტალების ერთობლიობა ინტერიერს ვიზუალურად ზრდის, ხაზს უსვამს ფორმას, განსაზღვრავს მასში ფერის სიღრმეს და ინტენსიობას. ყოველივე კი, ახლადწარმოქმნილი საზოგადოებრივი სივრცის სიმყუდროვის, კომფორტის, მაღალი იმიჯის გარანტია.

ნინო ლაღიძე

New cafe-restaurant of Italian brand Pomodorissimo are located I Chavchavadze ave. The project's, author is architect Natia Kariauli.

Unexpected design features, which one encounters every new and then in cafй-restaurant, lighten up the atmosphere of this public space and make it more comfortable. In the stylistic integrity, individuality of every section of interior or exterior stands out with surprising clarity. Unity of constructional and decorative details visually enlarges the space, accentuates its shape, highlights the depth and intensity of colors, making the new space a comfortable and impressive place.

NINO LAGHIDZE



















# ქალაქური ასოციაციები



ნინო ახვლედიანი
NINO AKHVLEDIANI



ქალაქის პრესტიჟულ უბანში არსებული საზოგადოებრივი შენობის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება, აუცილებელი პროცესია, რადგან ის, რაც ღირებულია, გაფრთხილება უნდა. სწორედ ამიტომ მოხდა რესტორანის „ბაბილო სანაპიროზე" (თბილისი, ბელიაშვილის ქუჩა) ჩართვა ქალაქის მაჯისცემაში. შენობის გარე და შიდა სივრცეების თანამედროვე კონტექსტში გადწყვეტამ მნიშვნელოვანი გახადა მისი მოცულობითი კომპოზიცია, რომელიც დიზაინერ ნინო ახვლედიანის პროექტით შეიქმნა. სამუშაო ჯგუფი: ვახო ჯოხაძე, მამუკა ჯაოშვილი, დათო ჯაოშვილი.

რესტორნის ელეგანტური გარემო თავიდანვე ამაღლებულ, რესპექტაბელურ შეგრძნებებს იწვევს მნახველში. ავტორის მიერ, ორიგინალური გადაწყვეტითა და საინტერესო მიგნებებით, კომფორტული, ესთეტიკურად თვითმყოფადი საზოგადოებრივი სივრცეები წარმოიქმნა. ინტერიერში მოცულობები თავისუფლადაა განთავ-











სებული, თუმცა მათი განლაგება მკაცრ კანონზომიერებას ექვემდებარება - ყველაფერი მხოლოდ სილამაზისათვის და სარგებლობისთვისაა შექმნილი. სივრცეთა თითოეული მონაკვეთი დამოუკიდებელი და დამთავრებულია, ყოველი კუთხე და დეტალი პროფესიული თანმიმდევრობითაა შესრულებული. ფურნიტურა საერთო ასოციაციაციების სისტემაშია ჩართული და არსებული არქიტექტურული ფორმებიდან იღებს სათავეს. იგი, გარემოს მხატვრულ-დინამიკურ გამოხატულებას - მისთვის დამახასიათებელ შარმს აძლიერებს - უფრო მეტად გამომხატველობითს ხდის.

... განათება, ფერი, აქსესუარები, პროპორციები, მოძრავი გრაფიკა - მათი ერთობლიობით არაორდინალურ გარემოთა განსხვავებული ხასიათები იქმნება და ყოველი მოცემული შემთხვევა, ტექნოლოგიური სიახლეების საშუალებებით გამოგონილ სტრუქტურაზე გაცილებით მნიშვნელოვანია.

ნინო ლაღიძე
ფოტო: ნინო ლეგაშვილი













# Urban Associations

Restaurant Babilo Sanapiroze (Beliashvili street, Tbilisi) was returned to the active city life. Interior of the building underwent considerable changes conditioned by its diverse functionality. Author this object - Designer Nino Akhvlediani. Working group: Vakho Jokhadze, Mamuka Jaoshvili, Dato Jaoshvili.

In the elegant, imposing environment ofrestaurant, the author created several original, comfortable, aesthetically unique public spaces with uninhibited but logical structure and enhanced functionality. In the interiors, where all the details are developed with equal skill and care, furniture and accessories are included into the general associative structure, highlighting expressivity of this or that space and increasing its charm.

Lighting, coloring, choice of decorations, flexible graphics help define the distinctive character of each particular interior with surprising efficiency and ease.

NINO LAGHIDZE
PHOTO BY NINO LEGASHVILI









# უწონადობა ინტერიერში



ბაჩა გაგოშაშვილი
BACHA GAGOSHASHVILI

ბათუმში, რესტორანი "ვოქსი" აკვაპარკის მიმდებარე ტერიტორიაზე ახლადაშენებული კორპუსის (შენობის პროექტის ავტორი დ. ჯაფარიძე. სამშენებლო კომპანია „დუპლექსი“) 22-ე სართულზე მდებარეობს. ის 2-სართულიანია და იმით გამოირჩევა, რომ მისი მეორე სართული მბრუნავ მექანიზმეა დაფუძნებული და 45 წუთის განმავლობაში ერთ ბრუნს აკეთებს, რისი საშუალებითაც რესტორანში ვახშმობისას სტუმრებს ქალაქის დათვალიერების შესაძლებლობაც ეძლევათ. ინტერიერის დიზაინი განხორციელდა ახალგაზრდა არქიტექტორის, შოთა (ბაჩა) გაგოშაშვილი პროექტით. საზოგადოებრივ სივრცეში მოულოდნელ დიზაინერულ შტრიხებს, სიმსუბუქე შეაქვთ და მოსახერხებელ გეგმარებას ქმნიან. სტილისტურ მთლიანობაში, თითოეული მონაკვეთის ინდივიდუალურობა და ფუნქციურობა თავისებურად იკვეთება, მათი კონტრასტულობა ინტერიერში უწონადობის შეგრძნებას ბადებს. თავისუფალი ატმოსფეროს შექმნის იდეას სივრცის ყოველი ელემენტი ექვემდებარება. კონსტრუქციული თუ დეკორატიული დეტალების ერთობლიობა ინტერიერს ვიზუალურად ზრდის, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მასში მუდმივადცვალებადის არაორდინალურობას, ფერთა სიღრმეს თუ ინტენსიობას. ავტორის ძალისხმევით, სივრცეში აუცილებელი სიმყუდროვე და კომფორტი შეიქმნა. დიზაინი ბაჩა გაგოშაშვილის დახვეწილი გემოვნების და შესაბამისი ინტელექტუალური მდგომარეობის ბუნებრივი ხორცშესხმაა.









# Impression of weightlessness

Restaurant "Vox" is located on the 22nd storey of a highrise, recently built by Duplex Company in the neighborhood of Batumi aqua-park (Author of project of Building D.Japaridze). The special feature of this two-level restaurant is that its second level rotates (one full revolution in 45 minutes), enabling visitors to enjoy the views of Batumi while relishing their meals. Restaurant interior was designed by architect Shota (Bacha) Gagoshashvili. Unexpected design touches add lightness and comfort to the public space. Stylistic integrity of the interior does not subdue individuality and functionality of constituent parts; on the contrary, their diversity leaves the impression of weightlessness. All elements of the space contribute to the general feeling of freedom. A diverse palette of constructional and decorative details is applied to visually increase the interior and highlight originality of constantly changing clothes collections exhibited on the shelves and racks.

Professionalism implying the level of skill. The author have succeeded in designing a highly comfortable space, standing as a proof to their refined taste and urban thinking.











# საცხოვრებელი ინტერიერი

წარმოდგენილი საცხოვრებლის ჩამოყალიბებისას, იდეა - ემოციური მდგომარეობის ცვალებადობის გამოხატულებად ჩამოყალიბდა. მისი ინტერიერი, დიზაინერის ნინო ახვლედიანის პროექტით შეიქმნა.

თანამედროვე, თავისუფალ ფორმაში, არქიტექტურული დეკორის ყოველი ნიუანსი მნიშვნელოვან დატვირთვას იღებს. ეკოლოგიური დიზაინის ტექნოლოგიურ ელემენტებთან შერწყმა, ეფექტური და გამომხატველობითია. ერთიანი სივრცის შექმნა, სასიამოვნო ურთიერთობებისათვის განგვაწყობს. დიზაინის სახე თანამედროვე დეკორის მოტივებით, მოცულობითა და პლასტიკური გადაწყვეტებით, არქიტექტურული რითმებითაა მიღწეული. თავისუფლად ფორმირებულ სივრცეში, თითოეული ნიუანსია აქცენტირებული, რაც თავისთავად დიზაინის სტილს განსაზღვრავს. სწორედ მიგნებული ინტონაციების ფონზე ინტერიერში შესაბამისი ატმოსფერო, სასიამოვნო განწყობა, სიმყუდროვე, კომფორტი ისადგურებს და იგი მაქსიმალურად სრულყოფილი, დასამახსოვრებელი სახით წარმოჩინდება.

ნინო ლაღიძე








# A residential interior





Author of the project - Designer Nino Akhvlediani.

The construction of interior is very compact with main architectonic groups ingeniously connected with each other. Its architectural composition is rather original and harmonious. Volume of the space, composed of diverse geometric forms, develops dynamically and flexibly. Unusual, light and uncomplicated roofing acts as a dominating exterior detail.Interior of the house is connected with the outer world by a range of glazed surfaces, which expand its borders and let in a great deal of sunlight and air. Constructional lightness of larger masses is reiterated by minor design elements, decorative compositions and accessories.

NINO LAGHIDZE

















# ამნეზიის დიზაინერული კოლაჟი



არქიტექტორი ნანა დევდარიანი
ARCHITECT NANA DEVDARIANI

არქიტექტორ ნანა დევდარიანის პროექტით შექმნილი მაღაზია სალონის AMNESIA-ს საზოგადოებრივი გარემო, მისი შემადგენელი მობილური ელემენტების ურთიერთჰარმონიულობით,ერთი მთლიანი, ცოცხალი ორგანიზმია.

გახსნილი სივრცე ერთიანად აღიქმება, თუმცა მასში ყოველი ცალკეული ელემენტი ერთგვარად მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელია. მათი ლავირება შეუმჩნეველი ნიუანსებით წარმოებს. ინტერიერის თოთოეული ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური სიბრტყე, არაორდინალური დეკორაციაა, დიზაინერული კოლაჟია.

მათი კომპოზიციური წყობა, ტონალობა, ფურნიტურასთან, აქსესუარებთან სინქრონი, სრულყოფილების შეგრძნებას ბადებს და სასიამოვნო საქმიან გარემოს ქმნის.

„ამნეზია“ ჩვენს დედაქალაქში საკმაოდ პოპულარულია. ამაზე მომხმარებლის რაოდენობა მეტყველებს. მაღაზიაში ყოველთვის ხალხმრავლობაა - უყვარს ხალხს „ამნეზია“ .

ნებისმიერი ასაკის ზომა-ფორმა-წონის და გემოვნების ადამიანის დაკმაყოფილება შეუძლია „ამნეზია“-ს. აქ მოდური ტენდენციები ზედმიწევნით კარგად ესმით.

ნინო ლაღიძე

ფოტო: სალომე დევდარიანი

# AMNESIA Design Collage

















Public space of AMNESIA Shop, designed by architect Nana Devdariani, represents an integral, live organism, consisting of harmoniously matched mobile units. The open space is perceived as a unity, nonetheless consisting of self-important and original elements, integrated by a carefully considered and unobtrusive structure of minor details. Each horizontal or vertical surface of the interior is an unordinary decoration, a part of design collage. Their compositional structure, tonality, matching with furniture and accessories evoke the feeling of perfection.

Shop AMNESIA is very popular customers of different tastes. Shop in Tbilisi, all full of customers during the day.

They like AMNESIA very much! AMNESIA has maintained high reputation and good relations with customers.

AMNESIA shops have a good understanding of fashion trends, though the prices are quite affordable for every visitor.

NINO LAGHIDZE

PHOTO BY: SALOME DEVDARIANI







# ახალი იტალიური მაღაზია Florence თბილისში



ახლახანს, პირველად საქართველოში, თბილისში იტალიური ავეჯის მაღაზია-სალონის Florence-ს პრეზენტაცია შედგა. მისი სახელწოდება იტალიური ქალაქის ფლორენციის სახელიდან გამომდინარეობს. სწორედ ფლორენციის რეგიონშია მისი ფაბრიკები განთავსებული.

Florence 50-ზე მეტი იტალიური ავეჯის ფაბრიკის ოფიციალური წარმომადგენელია სხვადასხვა ქვეყანაში. გარდა ამისა იგი თანამშრომლობს სხვადასხვა სტილისა და მიმართულებელის ავეჯის მწარმოებელ 200 ფაბრიკასთან. მათში, თანამედროვე ავეჯის თუ აქსესუარების მწარმოებელი ფაბრიკებიც არიან გაერთიანებულნი.

კვალიფიციური თანამშრომლების დახმარებით Florence-ს სალონში წარმოდგენილი კოლექციებიდან, შეძლებთ შერჩიოთ თქვენი ინტერიერისთვის შესაფერისი გარნიტურები, რბილი ავეჯი, საძინებლები, სამზრეულოები და სხვადასხვა აქსესუარები, რომლებიც ლამაზს და კომფორტულს გახდის თქვენს გარემოს.

Florence გთავაზობთ ავეჯს კლასიკიდან მოდერნამდე. ასევე გთავაზობთ სასტუმროების, ბარების, რესტორნების მოწყობას დიზაინერული გადაწყვეტიდან, მისი ბოლო ნიუანსის კომპლექტაციამდე.





Florence გთავაზობთ იტალიური წამყვანი ფირმების საინტერესო და მუდმივად ცვლად კოლექციებს. აქ ხარისხი ფასზე მაღალია და მომსახურება მისაღები იქნება საზოგადოების ყველა ნაწილისთვის.

პრეზენტაციაზე მოსულ საზოგადოებას, წამყვან არქიტექტორებს და დიზაინერებს საშუალება ჰქონდათ ეხილათ Florence-ს მიერ წარმოდგენილი არაჩვეულებრივი ფურნიტურა მსოფლიო ბრენდების კოლექციებიდან. პუბლიკას გაეცვნენ და საინტერესო თუ აუცილებელი ინფორმაცია მიაწოდეს საქართველოში სპეციალურად პრეზენტაციისთვის ჩამოსულმა, იტალიური კონცერნის CIACEXPORT კომერციულმა დირექტორმა ბატონმა ლუკა ბაჩიმ (LUCA BACCI), კომპანია Florence-ს დამფუძნებელმა, ბატონმა იური ტეტებაშვილმა და იტალიური ავეჯის მაღაზია-სალონის Florence-ს დირექტორმა, ქალბატონმა ნატალია ტეტებაშვილმა. პრეზენტაცია დასრულდა თბილ გარემოში, უგემრიელესი და ულამაზესი ფურშეტით.





ფოტო: ნიკა ფანიაშვილი













# New Italian Furniture Showroom "Florence" in Tbilisi

Very recently, a new Italian furniture showroom held its first presentation in Tbilisi. The new showroom is titled after Italian city of Florence, and its products come from Florence region. "Florence" is an official retailer of more than 50 Italian furniture factories in different countries. Apart from this, the company cooperates with more than 200 factories all over the world, producing furniture and accessories of different styles and trends. Qualified consultants of "Florence" Showroom will help you select sets of living room, bedroom, kitchen, etc. furniture matching your interior design and a wide range of accessories, which will make your home more beautiful and comfortable.

"Florence" Showroom offers a considerable variety of styles ranging from classic to modern. Here you also can receive advice and practical assistance on hotel, bar or restaurant interior design. In "Florence" the quality is always higher than the price and the service is accessible to everyone.

At the showroom presentation, the attending public - leading Georgian architects and designers - could see marvelous furniture collections by the leading international brands and receive noteworthy information from Luca Bacci, commercial director of Italian Concern CIACEXPORT (who specially visited Georgia in order to attend this presentation), founder of "Florence" Company Iuri Tetebashvili and director of "Florence" Showroom Natalie Tetebashvili.

PHOTO BY: NIKA PHANIASHVILI



იური ტეტებაშვილი
ნატალია ტეტებაშვილი
ლუკა ბაჩი

IURI TETEBASHVILI
NATALIE TETEBASHVILI
LUCA BACCI





# საერთაშორისო კონკურსი

თიბისი ბანკის ახალი სათაო ოფისის გრანდიოზულ პროექტზე საერთაშორისო კონკურსი გამოცხადდა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს როგორც ქართულმა, ისე უცხოურმა არქიტექტურულმა კომპანიებმა.

თიბისი ბანკის ახალი შენობა სულ მალე იქცევა საქართველოში ყველაზე დიდ ბიზნეს ცენტრად.

ახალი სათაო ოფისის ფასადის ესკიზურ პროექტზე და გენერალურ გეგმაზე კონკურსი თიბისი ბანკმა 10 ივნისს გამოაცხადა. საკონკურსო პროექტების მიღება გაგრძელდა 15 აგვისტომდე.

ეს არის ყოფილი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შენობა ვაკე-საბურთალოს გზაზე (უნივერსიტეტის ქ.2), რომელიც რამდენიმე თვის წინ თიბისი ბანკმა, სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ ტენდერში შეიძინა.

შენობის საერთო ფართი 33 ათასი კვ. მეტრია, ხოლო მთლიანი ტერიტორიის ფართი 43 ათასი კვ. მეტრი.

ამ მასშტაბის კონკურსი საქართველოში ბოლო 15 წლის მანძილზე არ ჩატარებულა. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 20-ზე მეტმა ქართულმა და 6 უცხოურმა არქიტექტურულმა კომპანიამ - მსოფლიოში ცნობილი არქიტექტურული კომპანიები გერმანიიდან, ესპანეთიდან, ჰოლანდიიდან, იტალიიდან და სხვა ევროპული ქვეყნებიდან.

გამარჯვებული კომპანიებისთვის საპრიზო ფონდი შეადგენდა 100 000 ლარს, რომელიც გაიცა სამ საუკეთესო საკონკურსო პროექტზე - პირველი ადგილი 50 000 ლარი, მეორე ადგილი 30 000 ლარი და მესამე ადგილი 20 000 ლარი.

კონკურსის შედეგები სექტემბერში გამოცხადდა. გამარჯვებული გამოავლინა ჟიურიმ, რომლის თავმჯდომარეც იყო საერთაშორისო რანგის არქიტექტორი რომის XXI საუკუნის ხელოვნების ნაციონალური მუზეუმის MAXXI არქიტექტურის მიმართულების ხელმძღვანელი პიპო ჩორა (Pippo Ciorra).

კონკურსზე წარმოდგენილი 34 პროექტიდან ჟიურის თავმჯდომარემ პიპო ჩორამ და თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელმა მამუკა ხაზარაძემ საზეიმო ვითარებაში გამოავლინეს ოთხი გამარჯვებული.

რეკონსტრუქციის შემდეგ ეს იქნება ბანკების, დღეს არსებულ ოფისებს შორის, ყველაზე დიდი ოფისი, ხოლო როგორც ბიზნეს ცენტრი - ასევე ყველაზე დიდი საქართველოს მასშტაბით. გარდა ამისა ეს შენობა იქნება ერთ-ერთი ყველზე თანამედროვე, ღირშესანიშნავი არქიტექტურული ნაგებობა, რომელიც დააკმაყოფილებს მსოფლიოში დღეს არსებულ ყველა არქიტექტურულ სტანდარტს.





# International Competition

Georgian and foreign architectural companies were invited to take part in a competition for designing of new TBC Bank headquarters.

TBC Bank launched the competition on developing of new headquarters facade sketch project and construction master plan on June 10 2012; submission of competition entries was terminated on August 15.

The construction site is the former Transcaucasian Military Army Command Headquarters, located between Vake and Saburtalo (no. 2 University Street), which TBC Bank purchased several months ago in a tender organized by the Government of Georgia.

Total floor area of the building is 33000 sq. m., and the total site area reaches 43000 sq. m.

This was the largest architectural competition organized in Georgia during the last 15 years.

The range of competition participants included more than 20 Georgian and 6 foreign architectural companies. Prize fund allocated for the winners amounted to 100000 lari to be distributed to the three best projects: 50000 lari to the competition winner, 30000 lari to the runner-up, and 20000 lari - to the 3rd place winner.

Competition results were announced in September. The award winning projects were identified by the jury, presided by an internationally recognized architect - senior curator of architecture at Rome's MAXXI museum Pippo Ciorra. From among the 34 competition entries, jury chairman Pippo Ciorra and head of TBC Bank Supervisory Council Mamuka Khazaradze singled out four winner projects.

After the reconstruction, the former Transcaucasian Military Army Command Headquarters is going to become the largest bank office / business center in Georgia - this will be one of the most illustrious local architectural landmarks complying with the world's advanced architectural standards.









I ადგილი – ლატვიელი არქიტექტორი ანდრიუს ამბრასასი

1ST PLACE: LATVIAN ARCHITECT AUDRIUS AMBRASAS





II ადგილი – ნიკო ჯაფარიძე (კომპანია Architects of invention)

2ND PLACE: NIKO JAPARIDZE (COMPANY "ARCHITECTS OF INVENTION")





III ადგილი – კომპანია Dmark

3RD PLACE: COMPANY DMARK



III ადგილი – გიორგი ხმალაძე

3RD PLACE: GIORGI KHMALADZE









ქრისტინა ბრუკნერი
CHRISTINE BRUCKNER

# ზვარტავადან - ზდუნამდე

ლატვიაში, კერძოთ ზვარტავაში, 2012 წლის ზაფხულს, კერამიკოსთა საერთაშორისო სიმპოზიუმი, სახელწოდებით „დიალოგი ტაპირთან“ გაიმართა. ათი დღის განმავლობაში ამ პატარა ქალაქში მდგარი, XVIII-XIX სს კოშკი-ვილა, რომელიც თურმე, თავის დროზე, გერმანელი გრაფის მიერ ყოფილა აშენებული, სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული (ესპანეთი, საქართველო, რუსეთი, საფრანგეთი, ჰოლანდია, ინგლისი თურქეთი, ლავია, პოლონეთი) 35 კერამიკოსის საცხოვრებელ და შემოქმედებითი მოღვაწეობის ადგილად გადაიქცა. ისტორიულ შენობაში შემოქმედთა კულტურა ურთიერთგაცნობის, მუშაობის, მცირე გამოფენების, და, რაც მთავარია, ერთი მიზნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის საშუალებით იყო წარდგენილი. საქართველოდან სიმპოზიუმში ცნობილი ქართველი კერამიკოსი ოთარ ვეფხვაძე მონაწილეობდა.

კერამიკოსთა საერთაშორისო სიმპოზიუმები ყოველ წელიწადს იმართება. ამჯერად მისი ჩატარება, ფრანგი კერამიკოსი ქალბატონის ქრისტინა ბრუკნერის (Christine Bruckner) ინიციატივითა და მოღვაწეობით გახდა შესაძლებელი. მისი ინიციატივით ღონისძიება, არც მეტი და არც ნაკლები – გადაშენების პირას მისულ ეგზოტიკურ ცხოველს – ტაპირს მიეძღვნა. თავად ფრანგი კერამიკოსი ამ თემაზე რეგულარულად ატარებს სხვადასხვა ქვეყნებში გამოფენებს და ტაპირის კერამიკული გამოსახულებების დიდ და ულამაზეს კოლექციას ფლობს.



სიმპოზიუმის ბოლოს კერამიკოსებმა თავიანთი ნამუშევრები ერთდღიანი გამოფენის საშუალებით ქალაქ რიგაში წარუდგინეს საზოგადოებას. აღსანიშნავია, რომ ოთარ ვეფხვაძის ნამუშევარი სპეციალური დიპლომით დაჯილდოვდა.

მომავალ წელს, 2-12 აგვისტოს, კვლავ ზვარტავაში შედგება სიმპოზიუმი, სადაც მასტერკლას ჩაატარებენ საყოველთაოდ ცნობილი კერამიკოსები პეტერის მარტინსონი (Peteris Martinsons) და ილმა რომულე. http://www.symposiums.lv/zvartava

















# From Zvartava to Zduny



In summer 2012 Zvartava, Latvia, hosted an international symposium of ceramists titled "Dialogue with Tapir". For ten days, a local Zvartava castle reportedly built in the 18th-19th cc by a German count, served as a hotel and working center to 35 ceramists from Spain, Georgia, Russia, France, Holland, England, Turkey, Latvia and Poland. The historical building presented symposium participants with a perfect environment for making closer acquaintance with each other, for working together, arranging small exhibitions and achieving the set goals. Georgia was represented at the symposium by the famous ceramist Otar Vepkhvadze. International symposiums of ceramists are arranged every year. This time, the event was organized due to active involvement of French ceramist Christine Bruckner. This lady insisted that the symposium be dedicated to an almost extinct exotic animal - tapir. As it turned out, the French ceramist regularly arranges thematic exhibitions in different countries and possesses a large beautiful collection of tapir ceramics.



At the end of the symposium, the participants arranged a one-day exhibition in Riga. Otar Vepkhvadze's works were acknowledged with a special diploma.

On August 2-12 2013, Zvartava will host the next symposium, which is going to include master-classes by well-known ceramists Peteris Martinsons and Ilona Romule.

http://www.symposiums.lv/zvartava














პროექტი ამჯერადაც ხელოვნების საერთაშორისო ცენტრთან არსებული ქვეყნების კულტურის კვლევის საერთაშორისო ინიციატივის პროგრამების ფარგლებში განხორციელდება.

ზაფხულის მიწურულს, აგვისტოში, ჯერ კიდევ ლატვიური შთაბეჭდილებებით დახუნძლული ბატონი ოთარი, პოლონეთში იქნა მიწვეული კერამიკოსების საერთაშორისო სიმპოზიუმზე და გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად.



სიმპოზიუმი პოლონეთის პატარა ქალაქ ზდუნში არსებულ მცირე სამრეწველ კომპანიის KaflarniaZduny-ს თაოსნობით ჩატარდა. ეს არის სამრეწველო ბაზა, რომელიც, მისი დაარსებიდან დაწყებული (XIX ს. დას.), თითქმის ერთი საუკუნეა უძველესი ტექნოლოგიური მეთოდებით – ტრადიციული ყალიბებით აწარმოებს კედლის კერამიკული ღუმელების ჩამოსხმა –აწყობას. ასეთი წესით შექმნილი ულამაზესი ღუმელის ძირითადი მომხმარებელი გერმანიაა (კარგი იქნება, საქართველოშიც მოიძებნოს მისთვის შესაბამისი გავრცელების სფერო და ბაზარი).



სიმპოზიუმში თექვსმეტი კერამიკოსი მონაწილეობდა საქართველოდან, პოლონეთიდან, რუსეთიდან, გერმანიიდან და საფრანგეთიდან.

თითქმის ორი კვირის განმავლობაში ხელოვანები ქმნიდნენ კერამიკულ ნამუშევრებს. გამოფენის სახელწოდებიდან გამომდინარე - „ხელოვნება საზღვრების გარეშე“ - თემა თავისუფალი იყო.



სიმპოზიუმის ფარგლებში სახალხო ფესტივალიც ჩატარდა. ფესტივალს ესწრებოდნენ – ქალაქის მერი, სიმპოზიუმის სპონსორები, იქაური მაცხოვრებლები. გამოფენილი იყო ხელნაკეთი ნივთები, სამკაულები და სხვა მრავალი. ჩატარდა კონცერტი. სახალხო დღესასწაულის მნიშვნელოვან სეგმენტს ქმნიდა კერამიკოსთა ნამუშევრების არაჩვეულებრივი გამოფენა.



მომავალში საერთაშორისო სიმპოზიუმები ტრადიციულად გაგრძელდება და აღორძინდება.

შემოქმედებით აღმავლობას და წარმატებებს ვუსურვებთ კერამიკოსებს.












In the end of summer, shortly after the visit to Latvia, Otar Vepkhvadze was invited to another international symposium and exhibition of ceramists in Poland.

The symposium was hosted by a small Polish town Zduny and supported by local company KaplarniaZduny. KaplarniaZduny is a small-scale business, founded in the 19th century and maintaining ancient techniques of producing ceramic tiles and assembling Dutch ovens. Beautiful ceramic ovens produced by KaplarniaZduny are mostly exported to Germany (it would be good if Georgia also found a market for them).







Zduny symposium was attended by sixteen ceramists from Poland, Georgia, Russia, Germany and France.

For almost two weeks, the artists created ceramic works. The title of the symposium - "Art without Boundaries" - released participants from any thematic restrictions.

Symposium program implied a folk festival. This event was attended by mayor of Zduny, symposium sponsors and local residents. Apart from the works of symposium participants, festival exhibition included expositions of of diverse handmade accessories and ornaments.











# ხარისხი და პროფესია

2012 - წლის 23–29 აპრილს აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში ჩატარდა ფლორენციის რომუალდო დელ ბიანკოს ხელოვნების საერთაშორისო ფონდის რეგიონალური ფესტივალი „ხარისხი და პროფესია“, რომელშიც სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებმა და პროფესორ–მასწავლებლებმაც მიიღეს მონაწილეობა.

„ხარისხი და პროფესია“-ს იდეა ეკუთვნის რომუალდო დელ ბიაკოს ფონდს. ის ახალგაზრდა არქიტექტორებს აძლევს შესაძლებლობას გამოფინონ საკუთარი პროექტები ინტერნეტში და წარუდგინონ საერთაშორისო დონეზე იმ სხვადასხვა არქიტექტურულ-სამშენებლო დაწესებულებებს, რომლებიც თანამშრომლობენ ფონდთან. ეს პროექტები კიდევ უფრო განავრცობენ თანამშრომლობას სხვადასხვა ქვეყნის უნივერისტეტების სტუდენტებსა და სპეციალისტებს შორის.

სტუდენტურ კონკურსში წარდგენილი იყო 6 სადიპლომო ნამუშევარი, რომლებსაც საერთაშორისო ჟიურიმ მაღალი შეფასება მისცა. არქიტექტურის ნომინაციაში პირველი ხარისხის დიპლომი მიენიჭა ჩვენი მაგისტრანტის თამუნა ცანავას ნაშრომს, მეორე ადგილი წილად ხვდა დოქტორანტ ვასილ გიორგაძეს, ხოლო მესამე ადგილი ასევე მაგისტრანტმა ბექა ხუციშვილმა დაიმსახურა.

საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც აზერბაიჯანის არქიტექტურისა და მშენებლობის უნივერსიტეტში ჩატარდა, ჩვენმა პროფესორებმა: გ. მიქიაშვილმა, მ. მილაშვილმა, ვ. მჭედლიშვილმა, მ. მაისურაძემ, ნ. იმნაძემ, მ. დავითაიამ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს საკუთარი სამეცნიერო კვლევები, ასევე გააცნეს ჩვენი ქვეყნის მიღწევები არქიტექტურის და ქალაქგეგმარების სფეროში, რამაც დამსწრე საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია.

გოჩა მიქიაშვილი, *სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი*





# Degree & Profession

On April 23-29 2012, Azerbaijani capital Baku hosted the regional festival of Romualdo Del Bianco Foundation "Degree & Profession", which was joined by students and teachers of the Faculty of Architecture, Urban Planning and Design of the Georgian Technical University.

Degree & Profession Festival, introduced by Romualdo Del Bianco Foundation, enables young architects to publish their projects in the internet and present them to architectural and construction organizations maintaining cooperation with the Foundation and strengthens connection between students and professionals of different countries.

This year's student competition comprised 6 degree projects, which were highly evaluated by the international jury. First Degree Diploma in the nomination "Architecture" was awarded to GTU graduate student Tamuna Tsanava, Second and Third Place Diplomas were also distributed to the Georgians: respectively - to PhD student Vasil Giorgadze and graduate student Beka Khutsishvili.

At the international conference, hosted by Azerbaijan University of Architecture and Construction under the umbrella of Degree & Profession Festival, Georgian professors G. Mikiashvili, V. Mchedlishvili, M. Maisuradze, N. Imnadze and M. Davitaia reported on results of their scientific research and the achievements of our country in the spheres of architecture and urban planning.

GOCHA MIKIASHVILI, *Dean of the Faculty of Architecture, Urban Planning and Design of the Georgian Technical University*







# ეიდოსის ემანაცია ორიგამიში

**პროექტის ავტორი:** ნინო მგალობლიშვილი
**შემსრულებლები:** ნინო მგალობლიშვილი, მარი ლიპარტელიანი, გიორგი კორგანოვი
**სამოდელო სააგენტო:** „ფაშიონ შარმი“

არტ-პროექტი მიეკუთვნება არტ-ობიექტთა კატეგორიას და წარმოადგენს ქაღალდისგან შესრულებულ მოცულობით ფორმებს, რომელნიც აზრობრივი და ემოციური დატვირთვის მატარებელნი არიან. ორიგამისა და კირიგამის წარმოდგენილი ხელოვნება - ეს არის თანამედროვე სამყაროს შეგრძნება თავისი ეიდოსებითა და არქეტიპებით, ტიპოლოგიური მსგავსებებით, ანალოგიებით, კავშირებით, ალუზიებით, რემინისცენციებით, ისტორიებითა და თქმულებებით.

ორიგამასა და კირიგამაში ჩადებულ ძირითად პრინციპს წარმოადგენს ქაღალდის ფურცლოვანი მასალისგან სივრცობრივი ფიგურების შექმნა სამი ტექნოლოგიური ოპერაციის საშუალებით: დაკეცვა, გაჭრა, გაღუნვა. ქაღალდის შეერთება (შეწებება) გამოიყენება მხოლოდ როგორც დამხმარე, და არა ფორმათწარმომქმნელი ოპერაცია. ქაღალდის თითოეული ობიექტი სხვადასხვაგვარი ხერხით იჭრება და იკეცება ერთი ფურცლისაგან და რთული შრომატევადი სივრცობრივი კომპოზიციების შექმნის უნიკალურ ხელოვნებას წარმოადგენს.

ტერმინ „ეიდოსი“-ს (ბერძნ. ეიდოს სახეობა, სახე - ძველბერძნ ფილოსოფიისა და ლიტერატურის ტერმინი) ისტორიის კვლევისას, შეიძლება გამოვყოთ ამ ცნების შემდეგი ასპექტები: ჰომეროსის დროს ეიდოსი გაგებული იყო როგორც გარეგნული სახე; გარეგნულობა; ის, რაც სჩანს. ჩვენს წ.ა.-მდე V-ე საუკუნიდან მისი მნიშვნელობა იცვლება: ემპედოკლესთან - ეიდოსი არის სახე, დემოკრიტესთან ატომის ფიგურა, პარმენიდთან - ხილვადი არსი. სოფისტებმა ეიდოსის ცნებას დაუმატეს მნიშვნელობა - იყოს სახეობრივი მცნება, არსის სახესხვაობა. თანდათანობით ეიდოსი სულ უფრო იძენს მნიშვნელობას რაღაც შინაგანისა, ფარულისა (პლატონი, არისტოტელე,პლოტინი). ეიდოსის სემანტიკის აქტუალიზაცია თანამედროვე გაგებით, როგორც საგანთა არქეტიპული საფუძვლისა, იწყება შუასაუკუნის ფილოსოფიაში, სანამ ჩვენს დროს, მაგალითად, ე. ჰუსერლის ფენომენოლოგიაში, არ გადაიქცა ინტელექტუალური ინტუიციის ობიექტად.







# Emanation of Eidos in Origami

**Project author:** Nino Mgaloblishvili
**Performed by:** Nino Mgaloblishvili, Mari Liparteliani, Giorgi Korganov
**Model agency** "Fashion Charm"

This project belongs to the category of art objects and represents a group of paper figures bearing certain semantic and emotional meaning. Origami and kirigami art expresses perception of modern world with its cultural forms and archetypes, typological similarities, analogies, links, allusions, reminiscences, stories and tales. The main principle of origami and kirigami is creation of three-dimensional figures from paper by applying three technological operations: folding, cutting and bending. Gluing is only used as an auxiliary action - this is not a shaping method; each complex dimensional composition is cut and folded from one piece of paper. While researching the word "eidos" (Greek word meaning "variety", "image" - one of popular terms used in Ancient Greek philosophy and literature), we can single out the following aspects of this notion: during the Homeric period "eidos" was understood as external, outward image, the image as seen by others; starting with the 5th century B.C. the meaning of this word began to change - Emedocles uses it as image, Democritus - as the figure of atom, Parmenides - as visible meaning. The sophists used this word to describe the meaning, significance of visible objects. Gradually, the word "eidos" transformed to imply the meaning of something inner, hidden (Plato, Aristotle, Plotines). Actualization of eidos as archetypical foundation of things started in the Medieval philosophy and transformed into the object of intellectual intuition in the modern-time E. Husserl's phenomenology.









# სარფის ტაძარი



დავით სვანიძე
DAVID SVANIDZE

ღვთის მადლით 2006 წელს სოფელ სარფში, საფუძველი ჩაეყარა ახალი ტაძრის მშენებლობას, რაც სოფლის სულიერი ამაღლების შედეგი იყო. ტაძრის ტერიტორიული მდებარეობა ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგან ეს ტერიტორია გახლავთ საქართველოს ადმინისტრციული საზღვარი, ძველი ქართული, ლაზეთის მიწა.

ტაძარი, რომელიც ანდრია პირველწოდებულის სახელს ატარებს, სახელმწიფოს დაფინანსებით აშენდა. ტაძრის აღმშენებლობას სათავეში ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტი მეუფე დიმიტრი უდგას. პროექტის შექმნა და მშენებლობის ორგანიზება დაევალა საქართველოს საპატრიარქოს არქიტექტორს დავით სვანიძეს. პროექტის თანაავტორები არიან არქიტექტორები შალვა ჩიტიშვილი და ზაზა თარგამაძე.

ტაძრის მშენებლობა 2008 წლის თებერვალში განახლდა და ამჟამად სამშენებლო სამუშაოები ძირითადად დასრულებულია.

პროექტზე მუშაობისას იდგა საკითხი თუ რა ტიპის ტაძარი უნდა აშენებულიყო. მდებარეობიდან გამომდინარე გადაწყდა შეეჯერებულიყო ტაო-კლარჯული არქიტექტურა ძველი ქართული განვითარებული საუკუნეების არქიტექტურასთან.

ტაძარი ჯვარგუმბათოვანი ტიპისაა და აგებულია ტრადიციული სამშენებლო მეთოდით, რომელიც ითვალისწინებს ქვის კვადრებითა და კედლის ერთიანი წყობით მშენებლობის პროცესს, რაც ძალიან დიდ შრომასთან არის დაკავშირებული. სამშენებლო მასალად გამოყენებულია გელათის კირქვა, საუბარია დაახლოებით 65-90 სანტიმეტრის ქვებზე. ტაძრის საპირე წყობა, ლილვები, კედლების ერთობლიობა, მთლიანად კარიბჭე, ინტერიერის ჯვრულკამარო-









# Sarpi Temple

ვანი გადახურვით, გუმბათქვეშა სვეტები თაღებითა და აფრებით დიდი მასიური ქვებითაა შესრულებული, ასევე დასავლეთის პორტალზე შესასვლელი კარების თავზე ტიმპანიც ერთიანი დიდი ლოდია, დაახლოებით 170x100x30. ტაძარს ამშვენებს მასიური ქვით შესრულებული ორნამენტული ლავგარდანი, რომელიც შთამბეჭდავი გადახურვით სრულდება. გადახურვა ძველი ქართული წესის მიხედვით ლორფინით არის შესრულებული, რომელიც ქვის თითოეული კვადრის ინდივიდუალურად გათლასა და ერთმანეთზე მორგების სიზუსტეს გულისხმობს. თვითონ ტაძრის ორნამენტული დეკორი ძალიან საინტერესო და მრავალფეროვანია. გამოყენებულია, როგორც ფოთლოვანი ასევე გეომეტრიული ჩუქურთმები. ამ ყველაფერს ხიბლს მატებს ის ფაქტიც, რომ მთელ ტაძარზე ორი ერთნაირი ჩუქურთმა არ მეორდება. რაც შეეხება ტაძრის ინტერიერს, ის ქვისა და აგურის მონაცვლეობით შესრულდა. მთელი კამარები ტაძრის ინტერიერისა შესრულებულია აგურით, რადგან სამომავლოდ ფრესკებისა ან მოზაიკისათვის მომზადებული იყოს ეს სივრცე. ასევე ყურადღებას იპყრობს კანკელი, რომელიც მთლიანად ჩუქურთმით არის დატვირთული და მისი თაღების დეკორები სრულყოფენ მის იერსახეს. ტაძრის კარებები ძვირფასი ხის მასალისაგან არის დამზადებული და დამუშავებულია ხეზე კვეთის ქართული ტრადიციული ტექნოლოგიითა და დეკორით.

ამ პერიოდისათვის, დღეს, სარფში სულ სამი ტაძარი შენდება ერთი გახლავთ ტაძარი, რომელზეც ვსაუბრობდით და რომელიც ანდრია პირველწოდებულის სახელს ატარებს, მეორე ტაძარი გახლავთ ზემოთ სოფლის თავში, რომელიც წმ. ლაზი მოწამეების სახელობისაა, ხოლო მესამე და უძველესი ტაძარი გახლავთ წმ. იოანე ღვთისმეტყველის სახელობის, რომელიც VI-VIII საუკუნეებით თარიღდება.







Foundation of a new church was laid in Sarpi in 2006. The new temple is rather important because of its location near the administrative border of Georgia, in the ancient land of Lazica. Construction of the new church, named after St. Andrew the Apostle, was funded by the government and supervised by Metropolitan Bishop of Batumi and Lazica; project of the church was designed by David Svanidze, Georgian Patriarchy architect in cooperation with architects Shalva Chitishvili and Zaza Targamadze.

Due to interruptions, construction of St. Andrew the Apostle Church was only finished this year. Official opening of the church took place in September 2012.



**ქეთი სვანიძე,** სტუ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტის სტუდენტი

**KETI SVANIDZE,** *student of the Faculty of Architecture of Georgian Technical University*



# ძველი თბილისის სადარბაზოები



XIX ს-ის თბილისი ორსახა იანუსს ჰგავდა-ერთი სახით აზიას უყურებდა,მეორეთი კი ევროპას,ყველას ხიბლავდა თავისი კოლორიტით,რომელიც მის გარეგნულ სახეშიც გამოიხატებოდა და მის ყოფა-ცხოვრებაშიც.ევროპიდან შემოსულმა ახალმა წეს-ჩვეულებებმა,საცხოვრებლის ახლებურად გამართვის დამკვიდრებამ შეცვალა თვით ცხოვრების ნორმები,გემოვნება და ფაქტიურად ის რაც დაკავშირებულია არქიტექტურასთან. აღსანიშნავია,რომ ამ პერიოდში ძველი და ახალი, არამარტო უპირისპირდებოდა, არამედ ერწყმოდა ერთმანეთს. ამის შედეგად ჩამოყალიბდა საგანგებოდ თბილისური არქიტექტურის ტიპი, რასაც თბილისის გარეთ ვერსად ვერ შეხვდებოდით. არქიტექტურის „გაევროპულობამ“, უპირველეს ყოვლისა, გავლენა მოახდინა საცხოვრებელი სახლის არქიტექტურაზე, სადაც იჭრება ახალი ფორმები, ახალი ელემენტები, მათ შორის შესასვლელი - სადარბაზო, სახლის „ევროპულობის „ ერთ-ერთი ნიშანი ხდება. შეძლებული ოჯახები ევროპული ყოფის სტანდარტებისკენ მიისწრაფვოდნენ. სადარბაზოები თბილისში 1850-60 წლების შემდეგ ახალი ტიპის სახლებთან ერთად ჩნდება, მანამდე სახლებს ძირითადად შესასვლელი აივნიდან ჰქონდა. სადარბაზო სახლის მეპატრონეთა ერთგვარ სავიზიტო ბარათად იქცა და როგორც ქალაქური, ბურჟუაზიული ყოფის სიმბოლო მდიდრულად იყო მორთული, საგანგებოდ გაფორმებული ვესტიბიულით, იატაკზე წარწერით ZALVE, პილასტრებით, მოზაიკით,მხატვრობით. სადარბაზო წარმოადგენდა შესასვლელს ერთ ან რამდენიმე







რად კარს წინფრაც ამშვენებდა მაქმანისებრი, გამჭირვალე ორნამენტით. წინფრის ჩრდილში მოხვედრილი მიმსვლელი ხის მძიმე კარს რომ შეაღებდა, საკმარისად განათებულ საზეიმო სივრცეში მოხვდებოდა. ჰოლის სიღრმეში, კიბის პირველ საფეხურთან ჩვეულებრივ მაღალ, დეკორატიულად გაფორმებულ კანდელაბრს დგამდნენ, რომელსაც ნათურა აგვირგვინებდა. დღისით სადარბაზოში ბუნებრივი განათება კარის ღიობიდან აღწევდა. შუქფარანი ხშირად ვიტრაჟით ფორმდებოდა, რომლის ფერადი შუქის ათინათები ინტერიერს, მოხატულ კედლებს თუ მოზაიკურ იატაკს მხატვრულ და მხიარულ ელფერს სძენდა. შესასვლელთან მოზაიკურ იატაკზე წარწერა SALVE არა მხოლოდ



ლათინურად, არამედ სხვა ენებზეც ეპატიჟებოდა მიმსვლელს. იატაკი ორნამენტული მოტივებით, ვარსკვლავებით თუ ყვავილების გეომეტრიული კომპოზიციით იყო მორთული და დეკორირებული ხალიჩის ეფექტს ქმნიდა.

სადარბაზოთა დეკორის სტილი ეკლექტურია - ფსევდობაროკოსა და კლასიციზმიდან მოდერნის ჩათვლით. თუმცა სტილის თვალსაზრისით შეიძლება მაინც ორი სტილი გამივყოთ - ერთში კლასიციზმის ელემენტები, რენესანსული მოტივები ჭარბობს, მეორეში კი მოდერნის სტილის ნიშნები.

თბილისში გავრცელებულია სწორედ კლასიცისტურ ხასიათში გადაწყვეტილი სადარბაზოები, სწორკუთხა ვესტიბიულითა და ცალკე



გამოყოფილი კიბის უჯრედით, სადაც კედლები დანაწერვებულია დეკორატიული მოჩარჩოებით, პილასტრებით და მედალიონებით, რომელშიც მხატვრობა არის მოთავსებული. დღესდღეობით მარტო ჩარჩოები და პილასტრებიღა შემორჩა, რაც ადასტურებს,რომ თავის დროზე მხატვრობაც ყოფილა.ვესტიბიულის





ბინაში. ჩვეულებრივ სახლს ერთი ან ორი სადარბაზო შეიძლებოდა ჰქონოდა ერთ-ერთი პირველ სართულს,ხოლო მეორე ზედა სართულებს უკავშირდებოდა. ტიპიური ბინა ექვსი ან შვიდი მთავარი ოთახისაგან შედგებოდა, რასაც დამხმარე სათავსოებიც ერთვოდა. ოთახების კედლებსა თუ ჭერს, სადარბაზოს მსგავსად დეკორით, მხატვრობით ამკობდნენ. ხის მასიური შესასვლელი კარი მორთული იყო ჩუქურთმებით, მისი ზედა შემინული ნაწილი ლითონის ჭედური ორნამენტებით იყო დაცული. ხში-





ძველი თბილისი. გრაფიკა
ავტორი თამარ მეზუკე

მხატვრობა ძირითადად ბათქაშზეა შესრულებული ზეთის ან ტემპერის საღებავებით, ხოლო კიბის უჯრედს ძირითადად ქაღალდზე, შაბლონის მიხედვით შესრულებული მხატვრობა ამშვენებდა. მოდერნის სტილში გადაწყვეტილ სადარბაზოებში არსებული დეკორი კიბისა და კარის ცხაურით შემოიფარგლება, კედლები სადაა, პლასტიკური დანაწერვებისა და მოჩარჩოების გარეშე, დეკორი ძირითადად ფერწერულია და მეტი ჰაეროვნებითა და სიმსუბუქით გამოირჩევა.

ცალკე შეიძლება აღინიშნოს მასშტაბური, პარადული სადარბაზოები განსხვავებული ინტერიერით, მაღალი მდიდრული ჰოლით, მარმარილოს საზეიმო კიბით, მარმარილოსვე იატაკით, პილასტრებით და ასევე ხშირად ვიტრაჟიანი ფართო შუქფარნით. მეორე მხრივ, თბილისური არქიტექტურის ინდივიდუალობა იმაშიც ჩნდება, რომ ზოგჯერ ახლის გარეგნული სახე სრულიად კონტრასტულ, მოულოდნელ შიდა სივრცეს შეიძლება მალავდეს.





დიდი წვლილი შეიტანეს თბილისში სადარბაზოთა მორთვა - მოხატვაში უცხოელმა ოსტატებმაც, რომელთაც, შეიძლება ითქვას, ინტერიერის გაფორმების ის საერთაშორისო სტანდარტები დაამკვიდრეს თბილისში, რომელიც ევროპის დიდ ქალაქებში გვხვდება.





ძველი თბილისი. გრაფიკა
ავტორი თამარ მეზუკე

ამრიგად, თბილისური სადარბაზოები ძველი ქალაქის კოლორიტის ერთ-ერთ განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.დღევანდელ მნახველს ისინი გასული ეპოქის რომანტიკულ მოგონებად წარმოუდგება და ერთგვარი ნოსტალგიისა და გულდაწყვეტის განცდას აღვიძებს მით უფრო, რომ სურათი საკმარისზე მეტად სევდიანია - თითქმის ყველა სადარბაზოში კედლები დაბზარულია, ფრესკები, დეკორი კი ძალიან დაზიანებული, გამქრალია ქანდაკებები, მხატვრობა გადაღებილი და გაჭვარტლულია. ეს სახლები გაფრთხილებას, რესტავრაციას და შველას ელის.

***თამუნა მეზუკე. სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დიზაინის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი.***



**ლიტერატურა**

1. ბერიძე ვ., თბილისის ხუროთმოძღვრება,1801-1917 წლები, ტომი II, თბილისი, (1963), გვ. 115
2. ი. გრიშაშვილი, თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, თბილისი, (1927), გვ. 42
3. ივ. ვეფხვაძე, მოგონებები და პორტრეტები, თბილისი,(1958), გვ. 68



# ფშავ-ხევსურეთი

**შატილი**

შატილი მდებარეობს ხევსურეთში, მდინარე არღუნის და შატილისწყლის შესართავთან. თარიღდება X-XI სს.-ით. ძირითადი სამშენებლო მასალაა ნატეხი ქვა, რიყის ქვა და ფიქალი. შატილში ძირითად შენობებს ქვითკირები და კოშკური სახლები წარმოადგენს.



შატილი. სახლი ბანით
SHATILI. HOUSE WITH A TERRACE


შატილი. სახლი სათოფურით
SHATILI. HOUSE WITH A PORTHOLE


შატილი. ქუჩის გადახურვა - ბანი
SHATILI. STREET FLOOR / TERRACE ROOF


შატილი. მარცვლეულის შესანახი სკივრი
SHATILI. A CHEST FOR GRAIN STORAGE


შატილი. სახლის შესასვლელი
SHATILI. HOUSE ENTRANCE


შატილი სახლის ფრაგმენტი
SHATILI. FRAGMENT OF A HOUSE

# Pshav-Khevsureti

**SHATILI**

Shatili is located in Khevsureti, at the confluence of Argun and Shatilistskali Rivers. The village, mostly built of rock stone, cobblestone and shale, dates back to the 10th-11th centuries A. D. Major part of constructions in Shatili are fortification walls and tower houses.



მუცო. ციხე-სახლი
MUTSO. FORTRESS HOUSE



შატილი. კოშკური სახლის ფრაგმენტი
SHATILI. FRAGMENT OF A TOWER HOUSE



მუცო. არდოტის ხეობა (XII-XIII სს)
MUTSO. ARDOTI CANYON (12TH-13TH CENTURIES AD)



მუცო. კოშკი სახლით
MUTSO. TOWER HOUSE



მუცო. ჩოლოყაანთ კოშკის ფრაგმენტი
MUTSO. FRAGMENT OF CHOLOKAANT TOWER



*მიხეილ მენაბდე*
*სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტი*

***MIKHEIL MENABDE***
***student of the Faculty of Architecture of Tbilisi State Academy of Arts***



# MOONMACHINE by Stepan Sarpaneva - Forged by a Giant Impact



მაქსიმილიანო ბიუსერი
MAXIMILIAN BUSSER

სტეპან სარპანევა
STEPAN SARPANEVA

MB & F - ეს არის სახელი, რომლის ხსენებისას გაგონდება მაღალი სიზუსტის საათები, არასტანდარტული კონსტრუქციითა და მაქსიმილიანო ბიუსერის დიზაინით. მაქსიმილიანო დაიბადა იტალიაში, მაგრამ თავისი ბავშვობა შვეიცარიაში გაატარა, ქალაქ ლოზანაში. 1991 წელს მან დაამთავრა შვეიცარიის ფედერალური ტექნოლოგიების ინსტიტუტი და მიიღო დიპლომი ინჟინერიასა და მიკროტექნოლოგიაში. მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში ის მუშაობდა საათების კომპანიაში სახელად Jaeger-LeCoultre, ხოლო 1998 წელს დანიშნეს Harry Winston-ის მმართველ დირექტორად. მიუხედავად ამისა, ეს იყო მხოლოდ დასაწყისი მესაათის ბრწყინვალე კარიერისა, რომელსაც მთლიანად უნდა შეეცვალა წარმოდგენები იმაზე , თუ როგორი უნდა ყოფილიყო თანამედროვე, ხარისხიანი, შვეიცარიული საათები.

მესაათის სფეროში დიდი გამოცდილების მიღებით და რაღაც ახლის შექმნის სურვილით, მაქსიმილიანო ბიუსერმა მიატოვა ცნობილი საათების კომპანია და რამდენიმე ახალგაზრდა დიზაიერთან ერთად შექმნა საკუთარი საათების ბრენდი. ამგვარად 2005 წელს გაჩნდა ახალი, სრულიად უნიკალური, საათების ბრენდი MB & F (Maximilian Busser & Friends).

MB & F - is the name at the mention of which brings to mind high-precision clocks with custom construction and design from the Maximilian Busser. Maximilian was born in Italy, but his childhood and youth were held in Lausanne, Switzerland. In 1991 he graduated from the Swiss Federal Institute of Technology and received a degree in engineering, microtechnology. The next few years, he worked in the watch company Jaeger-LeCoultre and in 1998 was promoted to Managing Director at Harry Winston. Nevertheless, it was only the beginning of a brilliant career, beginning watchmaker, who was destined to completely turn views on what should be the quality of modern Swiss watches.

Having a lot of experience in the field of watchmaking and wanting to create something of their own, Maximilian Busser left the well-known watch company and, together with several other young designers founded his own watch brand. So in 2005 come to light completely new unique watch brand MB & F (Maximilian Busser & Friends).







MOONMACHINE: While considerably less cataclysmic than the formation of our Moon, MOONMACHINE was also forged from the creative collision of two worlds: MB&F's HM3 Frog and independent watchmaker Stepan Sarpaneva.

Before launching his own brand Sarpaneva Watches in 2003, Stepan Sarpaneva worked with some of the most prestigious Swiss brands including Piaget, Parmigiani - where he worked alongside Kari Voutilainen - Vianney Halter and Christophe Claret.





MOONMACHINE by Finnish watchmaker Stepan Sarpaneva is both the first of the MB&F Performance Art pieces by a watchmaker and the first to endow a Machine with a new complication. With MOONMACHINE, Stepan has taken a specially configured HM3 Frog and transformed it with his iconic moon-face moon-phase indicator set in a scintillating firmament of northern stars.

***დავით ზურებიანი***
*ილიას სახ.უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი*

***DAVID ZUREBIANI***
***faculty of injinery of Ilia University***







Stepan Sarpaneva: Stepan's three signature themes are all celestial: his very distinctive moon face; the northern stars and constellations; and the crenellated form of his Korona case - the korona/corona is the plasma atmosphere of the Sun - and all three have been incorporated in MOONMACHINE. Sarpaneva's two moon faces indicate the phase of the moon through a Korona shaped aperture, while the mystery winding rotor is actually steel and 22k gold disc with laser-pierced stars forming stars and constellations visible in the northern sky.





"Stepan has an incredible sense of design and a real sense of detail. His work and everything he surrounds himself with is extremely coherent." Maximilian Busser

















# ისტორიული ფირუზა

ბორჯომში ისტორიული „ფირუზას“ რეაბილიტაცია დასრულდა. შენობა მდებარეობს ბორჯომპარკის შესასვლელთან და ქართულ-სპარსული ურთიერთობების განსხვავებულ ფაზასა და პერიოდს ასახავს.

ერთ დროს გამორჩეული სანატორიუმი გაუქმების შემდეგ, წლების განმავლობაში მოუვლელობით, კლდიდან ქვების ცვენისა თუ შენობაში ატმოსფერული ნალექების ჩადინებით, ადამიანის ზემოქმედებითა და არასწორი ექსპლუატაციის შედეგად განადგურების პირას აღმოჩნდა.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით 2010 წელს საპროექტო სახელოსნო „არქიტეორები ჯი“-მ შენობის სრული რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაცია მოამზადა. წელს ისტორიულ ფირუზას პირვანდელი სახე დაუბრუნდა. სამუშაოს შპს „რესტავრატორები და კომპანია“ ახორციელებდა.



პროექტის მიხედვით, შენობის მთლიანი კონსტრუქციის, ფასადებისა და ინტერიერის რეაბილიტაცია განხორციელდა. განახლდა აივნისა და ოთახების მოხატულობა და დეკორატიული ინკრუსტაციები. მოეწყო გარე ელექტროსამონტაჟო სისტემები და შიდა საინჟინრო კომუნიკაციები. პროექტის დასკვნით ეტაპზე მოხდა ტერიტორიის სრული კეთილმოწყობა.

სასტუმრო სახლი „ფირუზა“ 1892 წელს ირანის საელჩოს წარმომადგენლის დაკვეთით აშენდა. ფსევდომავრიტანული არქიტექტურული სტილის ნაგებობის მხატვრულ არქიტექტურულ ღირებულებას ირანული, ევროპული და ქართული ხელოვნების სინთეზი განსაზღვრავს და გამორჩეული ადგილი უჭირავს საქართველოს საერო დანიშნულების ნაგებობათა შორის.







შენობა შემკულია სპარსული სამოქალაქო არქიტექტურისთვის დამახასიათებელი დეკორატიული მოხატულობით, ძერწული თაბაშირის ორნამენტებით, სარკის ინკრუსტაციით, ფერადმინიანი ხის ვიტრაჟებითა და ხის აჟურული დეტალებით, რაც საქართველოში იშვიათად გვხვდება. განუმეორებლი დეკორაციები თავად ირანელი ოსტატების მიერ არის შესრულებული და ამდენად იგი განსაკუთრებით ფასეულია არა მხოლოდ ქართული, არამედ ირანული კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით.

# Piruza hotel

The hotel “Piruza”, which was built in 1932, was restored within the scope of the state program.

Author of reconstruction: Architects Ge Company

The construction work by: Restorers and Company Ltd









***ლაშა ხულორდავა***

*ააიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტის სტუდენტი*

***LASHA KHULORDAVA***

***Student of Architecture department of Georgian Technical University***







# რივიერა

**პროექტის ავტორები:**
**გოჩა გაროჩავა, ბესო კეშელავა**



რესტორანი „რივიერა“ ბათუმში - ულამაზესი ინტერიერი და მუსიკა, ღია ტერასებიდან გაშლილი შესანიშნავი ხედები... დარბაზი 250 კაცზეა გათვლილი, II სართულზე სამოცდაათამდე ადამიანს შეუძლია გართობა და დასვენება. III სართულს ტერასა იკავებს (80 სტუმრისთვისაა განკუთვნილი), ვრცელი, ქოლგებიანი აივანი კომფორტს და სიამოვნებას გთავაზობთ. რესტორანი აღჭურვილია Wi-Fi ინტერნეტით. აქვეა პარკინგი 40 მანქანის გასაჩერებელი ადგილით. აქ სასიამოვნო დროის გატარება გელით.






*თორნიკე ბაკურაძე*
*ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი*




ავტორადიო
GEO FM 95.1
თბილისი
სიამოვნებით გასავლელი გზა


JUNG